UN JOINT PROGRAMME
FOR GENDER EQUALITY

2021 წელს მომხდარი ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის

საქმეთა ანალიზი

2023

მეთოდოლოგიის ავტორი: თამარ დეკანოსიძე

სისხლის სამართლის საქმეების და სტატისტიკის ანალიზზე მუშაობდნენ:
გიორგი გოცირიძე და გვანცა ხარატიშვილი

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისათვის“ ფარგლებში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შვედეთის ფინანსური მხარდაჭერით. მისი შინაარსი წარმოადგენს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პასუხისმგებლობას და შესაძლოა, არ ასახავდეს შვედეთისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ხედვას.

სარჩევი

შესავალი **4**

1. კვლევის მეთოდოლოგია **6**

2. ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის სტატისტიკა **9**

3. ფემიციდის გამოვლენილი კატეგორიები და ტიპები **12**

4. გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები **13**

4.1. მკვლელობის მცდელობა და სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება (დაზიანების მცდელობა) 13

4.2. გენდერის ნიშნის გამოკვეთის პრობლემა 16

4.3. საპროცესო შეთანხმებების გაფორმების პრაქტიკა 19

4.4. გამოძიების სხვა ხარვეზები 20

4.5. მართლმსაჯულების განხორციელებისას დაზარალებულის დახმარების მექანიზმები 23

5. ხარვეზები სასამართლო განხილვისას **25**

5.1. სასამართლოს მიერ გენდერის ნიშნის განმარტება და დასაბუთება 25

5.2. სასამართლოს მიერ 531 მუხლის გამოყენება და სასჯელის დამძიმება გენდერის ნიშნით ჩადენილ დანაშაულზე 29

5.3. სასამართლოს მხრიდან რისკების სათანადოდ შეფასების პრობლემა 30

6. სისხლისსამართლებრივი ბრალდებების შეწყვეტის შესახებ განჩინებების ანალიზი **35**

დასკვნა **36**

რეკომენდაციები **37**

დანართი: საქართველოს გენერალური პროკურატურის სტატისტიკა **39**

შესავალი

ქალთა მკვლელობებისა და მკვლელობის მცდელობების მუდმივად მაღალი სტატისტიკა აჩვენებს, რომ ქვეყანაში გენდერული ნიშნით ჩადენილი მძიმე დანაშაულების აღმოსაფხვრელად ერთი მხრივ, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მიმართულებით არსებული მკაცრი სახელმწიფო პოლიტიკის პრაქტიკაში გადმოტანაა აუცილებელი, ხოლო მეორე მხრივ, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმების გაუმჯობესება კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი 2022 წელს ფემიციდის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების[1] აღსრულების შეფასებისას უთითებს, რომ ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის რიცხვის შესამცირებლად, პირველ რიგში, მის გამომწვევ მიზეზებთან ბრძოლაა მნიშვნელოვანი. გარდა ამისა, კომიტეტი საქართველოს მოუწოდებს, გააძლიერონ ძალისხმევა ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებთან კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად.

სწორედ ამიტომ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა სპეციალურ ანგარიშში 2021 წელს მომხდარი ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების ანალიზთან ერთად, სისხლის სამართლის პროცესში მსხვერპლის მხარდამჭერი სერვისიც შეაფასა.

საქართველოს გენერალური პროკურატურის მონაცემებით,[2] 2021 წელს 22 ქალის მკვლელობის[3] ფაქტი დაფიქსირდა, საიდანაც 11 შემთხვევა ოჯახის წევრის მიერ იყო ჩადენილი, ხოლო 11 შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის სხვა მოტივი გამოიკვეთა. ასევე, გამოვლინდა 31[4] ქალის მკვლელობის მცდელობის ფაქტი, საიდანაც 16 ოჯახური დანაშაულის ნიშნით იყო ჩადენილი, ხოლო 15 შემთხვევა - სხვა მოტივით. საქართველოს სახალხო დამცველმა 2021 წელს მომხდარი 2 ფემიციდისა და 12 ფემიციდის მცდელობის საქმე შეისწავლა.

სახალხო დამცველის მიერ ჩატარებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეებზე გაზრდილია გენდერის ნიშნით დანაშაულის ჩადენის გამოვლენის მაჩვენებელი. გარდა ამისა, გაუმჯობესებულია სასამართლოების მიერ გამოტანილ განაჩენებში ქმედების გენდერის ნიშნით ჩადენის დასაბუთებაც. თუმცა, მონიტორინგი ცხადყოფს, რომ კვლავ პრობლემურია მოძალადის მიერ განხორციელებული ქმედების სწორი კვალიფიკაცია. ასევე, ფემიციდის მცდელობის საქმეებზე მსჯავრდებულთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების პრაქტიკა და სასამართლოს მიერ რისკების არასწორი შეფასება.

საანგარიშო პერიოდში კვლავ გამოვლინდა შემთხვევები, სადაც ფემიციდის ან/და ფემიციდის მცდელობის ფაქტებამდე სახელმწიფო უწყებები ინფორმირებული იყვნენ მსხვერპლი ქალების მიმართ ჩადენილი, ქალის მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით.[5] თუმცა,

1 Tkhelidze group v. Georgia (Application No. 33056/17), გადაწყვეტილება მისაწვდომია ბმულზე: https://bit.ly/3HnFK7l

2 საქართველოს გენერალური პროკურატურის N 13/4275; 28.01.2022

3 მათ შორის ოჯახის წევრის მეირ თვითმკვლელობამდე მიყვანის 2 ფაქტი და ჯანმრთელობის დაზიანების 2 ფაქტი, რომელმაც მსხვერპლის გარდაცვალება გამოიწვია

4 მათ შორის ოჯახის წევრის მიერ თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის 10 ფაქტი და სხვა მოტივით ქალის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის 3 ფაქტი

5 2021 წელს დაფიქსირდა 2 შემთხვევა, სადაც ფემიციდის მცდელობის შემთხვევამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეტყობინებები ფიქსირდებოდა. ერთ საქმეში, შინაგან საქმეთა სამინისტროში დაფიქსირებული იყო 2 შეტყობინება ოჯახში შესაძლო ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც 2-ვე შემთხვევაში მოძალადის მიმართ შემაკავებელი ორდერი იყო გამოცემული. მეორე საქმეში, ფაქტამდე ფიქსირდებოდა 3 შეტყობინება, გამოცემული იყო შემაკავებელი ორდერი და ასევე,

ამის მიუხედავად ფემიციდის ან/და ფემიციდის მცდელობის თავიდან არიდება ვერ მოხერხდა. განსაკუთრებით საგანგაშოა შემთხვევა, როდესაც ფემიციდის მცდელობა მსჯავრდებულმა მის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების პერიოდში ჩაიდინა.

წინამდებარე ანგარიშში, გამოვლენილ პრობლემებთან ერთად წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომელიც სახელმწიფო უწყებებს გენდერულად მოტივირებულ დანაშაულებზე რეაგირების გაუმჯობესებაში დაეხმარება.

მიმდინარეობდა გამოძიება შესაძლო ძალადობისა და შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული პირობების შესაძლო დარღვევის ფაქტებზე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 2 22 03484022; 09.12.2022. საქმე N 8848/22

1. კვლევის მეთოდოლოგია

გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების (ფემიციდის) მონიტორინგის მეთოდოლოგიური ჩარჩო სახალხო დამცველის აპარატში შემუშავდა, და ის ასევე იქნა გამოყენებული წინამდებარე ანგარიშის მომზადებისას.[6]

კვლევის მიზნებისათვის, საქართველოში არსებული კონტექსტიდან გამომდინარე და ლათინოამერიკულ სახელმძღვანელო ოქმზე[7] დაყრდნობით, სახალხო დამცველი იყენებს ფემიციდის შემდეგ განმარტებას: ფემიციდი არის გენდერის ნიშნით ჩადენილი ქალის მკვლელობა, ანუ ქალის მკვლელობა, რომლის ჩადენის მოტივი ან კონტექსტი დაკავშირებულია ქალის მიმართ გენდერულ ძალადობასთან, დისკრიმინაციასთან, ან ქალის დაქვემდებარებულ როლთან, რაც გამოიხატება ქალზე უფლებების ქონის სურვილით, ქალთან შედარებით უპირატესი მდგომარეობით, ქალის მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულებით, მისი ქცევის კონტროლით, ან მის გენდერთან დაკავშირებული სხვა მიზეზით, ასევე, ქალის თვითმკვლელობამდე მიყვანა ზემოაღნიშნული მიზეზებით.

ქალის მკვლელობის ფაქტი ავტომატურად არ ნიშნავს, რომ ჩადენილია ფემიციდი. გენდერთან დაკავშირებული ქალთა მკვლელობების გამოძიების ლათინური ამერიკის სახელმძღვანელო ოქმის მიხედვით, ფემიციდია, როდესაც მკვლელობა ან ქალის გარდაცვალება უკავშირდება ქალის გენდერს, კერძოდ, უნდა არსებობდეს გარკვეული ნიშნები, რომ მკვლელობის ჩადენის მოტივი ან კონტექსტი დაკავშირებულია გენდერულ ძალადობასთან ან/და დისკრიმინაციასთან.[8]

რაც შეეხება დანაშაულის მოტივს, სასამართლო საქმეების ანალიზისას, წინამდებარე კვლევისათვის მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული ფემიციდის მოტივის ნიშნები, კერძოდ:

- მსხვერპლის მიმართ დისკრიმინაციული ან სექსისტური დამოკიდებულება;
- მესაკუთრული დამოკიდებულება;
- ქცევის კონტროლი;
- სტერეოტიპული გენდერული როლების მორჩილების მოთხოვნა.[9]

ფემიციდის საქმეთა მონიტორინგი ჩატარდა სამ ეტაპად. კვლევის **პირველი ეტაპი** გულისხმობ და ქალის მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის გამოთხოვას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან და გენერალური პროკურატურიდან. ხოლო გამამტყუნებელი განაჩენების გამოთხოვას - საერთო სასამართლოებიდან.[10]

6 ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში: ქალთა გენდერული მკვლელობები", 2016 წლის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი. საქართველოს სახალხო დამცველი, 2017

7 Latin American Model Protocol for the Investigation of Gender-related Killings of Women (femicide/feminicide) („ქალთა გენდერთან დაკავშირებული მკვლელობების გამოძიების ლათინური ამერიკის სახელმძღვანელო ოქმი" - შემდგომში: ლათინოამერიკული სახელმძღვანელო ოქმი), ად

8 Latin American Model Protocol for the Investigation of Gender-related Killings of Women (femicide/feminicide) („ქალთა გენდერთან დაკავშირებული მკვლელობების გამოძიების ლათინური ამერიკის სახელმძღვანელო ოქმი" - შემდგომში: ლათინოამერიკული სახელმძღვანელო ოქმი), ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი ლათინურ ამერიკაში, ISBN 978-9962-5559-0-2, გვ. 13-14

9 მეთოდოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია 2016 წლის ფემიციდის მონიტორინგის ანგარიშში. გვ. 6-10. ონლაინ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/2KrEn9k [ბოლოს ნანახია 2020 წლის 26 ნოემბერს].

10 ინფორმაცია გამოვითხოვეთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებთან დაკავშირებით, რომლითაც შესაძლებელი იყო ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის საქმეების დაკვალიფიცირება, კერძოდ: განზრახ მკვლელობა (სსკ-ის მუხლი 108), განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში (სსკ-ის მუხლი 109), განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (სსკ-ის მუხლი

კვლევის **მეორე ეტაპზე**, ფემიციდის ან ფემიციდის მცდელობის გამოსავლენად, გაანალიზდა საქალაქო/რაიონული სააპელაციო და უზენაესი სასამართლოებიდან მიღებული გამამტყუნებელი განაჩენები/განჩინებები.

კვლევის **მესამე ეტაპზე**, საქალაქო/რაიონული სააპელაციო და უზენაესი ინსტანციის სასამართლოდან გამოთხოვილ იქნა საქმის სრული მასალები მეთოდოლოგიის მიხედვით შერჩეულ ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეთა განაჩენებზე, ასევე, აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით, ინფორმაცია გამოთხოვილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, მართლმსაჯულების განხორციელების ხარვეზების გამოსავლენად.[11]

შედეგად, სახალხო დამცველის აპარატს, 2021 წელს მომხდარ დანაშაულებთან დაკავშირებით, 21 განაჩენი მიეწოდა. მოწოდებული განაჩენების გაცნობის შემდეგ, სისხლის სამართლის 19 საქმეზე გამოთხოვილ იქნა საქმის სრული მასალები, საიდანაც საქმეების სრულად გაცნობის შედეგად ფემიციდი ან ფემიციდის მცდელობა გამოიკვეთა **14 საქმეში**. 14 საქმიდან 2 ეხებოდა ფემიციდს, ხოლო 12 საქმე - ფემიციდის მცდელობას. დანარჩენ ხუთ საქმეში ფემიციდი ან ფემიციდის მცდელობა არ გამოიკვეთა. ბოლნისის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში,[12] ქალის გარდაცვალებას წინ უძღოდა ქმრის მხრიდან ძალადობა, თუმცა ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ეს ძალადობა მიზეზობრივ კავშირში არ იყო ქალის გარდაცვალებასთან. ამ საქმეში მოძალადე ქმარი დამნაშავედ იქნა ცნობილი ოჯახში ძალადობისათვის (სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლი). ვინაიდან სახეზე იყო ქალის ბუნებრივი სიკვდილი შეუძლებელია ვისაუბროთ ფემიციდზე. ამიტომ, ეს საქმე არ მოხვდა ანგარიშში.[13]

ანგარიშში ასევე არ იქნა შეტანილი თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული საქმე, როცა ტელევიზორისათვის ხმის დაწევის გამო ორ დას შორის მოხდა დაპირისპირება, რის გამოც ერთმა დამ მეორეს დანით სიცოცხლისათვის საშიში დაზიანება მიაყენა.[14] ტელევიზორით გამოწვეული ხმაურის ნიადაგზე დანაშაულის ჩადენა არ მიუთითებს გენდერულ მოტივზე იმ ვითარებაში, როცა ბრალდებულიც და დაზარალებულიც ქალია.[15]

ქალის მკვლელობის კიდევ ერთი საქმე განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლომ. ამ საქმეში ბრალდებული კაცი და მოკლული ქალი მეზობლები იყვნენ. ბრალდებული დაზარა-

---

111), ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (სსკ-ის მუხლი 117), თვითმკვლელობამდე მიყვანა (სსკ-ის მუხლი 115), სსკ-ის 19,108-ე და 19,109-ე მუხლი (დანაშაულის მცდელობა). ასევე, 118.2 მუხლი, კერძოდ, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა. სსკ-ის 118.4 მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, დანაშაული ჩადენილი ოჯახის წევრის, გენდერის ნიშნით, ორსული ქალის, არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, რამაც გამოიწვია მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობა), ასევე, სსკ-ის 121-ე (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში) და სსკ-ის 122-ე (ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით) მუხლებით დაკვალიფიცირებული საქმეები. ასევე ვითხოვდით ინფორმაციას სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებთან დაკავშირებით, სადაც ასევე შესაძლებელია გამოიკვეთოს ფემიციდი. კერძოდ: ქალის გაუპატიურება, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის მუხლი 137.4.ბ), სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის მუხლი 138.3.ბ), უკანონო აბორტი, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის მუხლი 133.3), სტერილიზაცია თანხმობის გარეშე, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია (სსკ-ის მუხლი 133[1] .3), ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია (სსკ-ის მუხლი 133[2] .3), ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის მუხლი 143[1] .4.ბ), წამება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის მუხლი 1441 .3.გ).

11 ოთხ საქმეს გავეცანით თბილისის საქალაქო სასამართლოში.

12 ბოლნისის რაიონული სასამართლოს საქმე #1/227-21

13 ბოლნისის რაიონული სასამართლოს საქმე #1/227-21

14 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე 1-3420-21

15 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე 1-3420-21

ლებულს ადანაშაულებდა მის სახლში შესვლასა და ქურდობაში. ამას მოჰყვა დაპირისპირება ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის, რაც ქალის მკვლელობით დასრულდა. სწორედ ამის გამო ამ საქმეში არ იკვეთება ფემიციდის ნიშნები და ეს საქმე ვერ მოხვდა აღნიშნულ ანგარიშში.[16]

კიდევ ერთი საქმე, რაც არ იქნა აღნიშნულ ანგარიშში შეტანილი, განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაფიცი მსაჯულების შემადგენლობით.[17] ამ საქმეში ბრალდებულს ბრალი ჰქონდა წაყენებული სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ცივი იარაღის გამოყენებით მოკლა დაზარალებული. ამასთან ბრალდებულს ბრალი წაუყენეს 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია). სასჯელის დასანიშნად, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე, სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენიდან ირკვევა, რომ ბრალდებულს დაზარალებულის მოკვლის შემდეგ წარმოეშვა სახლიდან ლეპტოპის და სხვა ნივთების ქურდობის განზრახვა. ნივთების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება არ ყოფილა ქალის მკვლელობის მოტივი, სწორედ ამიტომაც მოხდა აღნიშნული ქმედების კვალიფიკაცია 108-ე მუხლით და არა სისხლის სამართლის კოდექსის იმ დროს მოქმედი რედაქციის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (მკვლელობა ანგარებით). თბილისის საქალაქო სასამართლო სასჯელის დანიშვნის განაჩენში პირდაპირ მიუთითებს, რომ მკვლელობის მოტივი ვერ დადგინდა და ქმედების სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის ეს არც იყო აუცილებელი.[18]

არსებობდა ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ ხსენებულ საქმეში ფემიციდს ჰქონდა ადგილი. ამ ეჭვზე მიუთითებს ის გარემოება, რომ დაზარალებული იყო სექს-მუშაკი, ხოლო ბრალდებული იყო მისი კლიენტი. სასამართლო სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ პროკურორები ყველა მოწმეს ეკითხებოდნენ, იცოდნენ თუ არა მოკლული ქალისა და ბრალდებულის ურთიერთობის შესახებ, რაზეც უარყოფით პასუხს იღებდნენ.19 პროკურატურამ გადადგა ყველა ნაბიჯი, თუნდაც საქმის არსებითი განხილვისას, გენდერული მოტივის დასადგენად, თუმცა ამის მიუხედავად, ამგვარი მოტივის დადგენა ვერ მოხერხდა.[20] სწორედ ამიტომ ეს საქმე არ მოხვდა ანგარიშში.

საქმის ანალიზის შემდეგ მონიტორინგის ანგარიშში არ იქნა შეტანილი სიღნაღის რაიონული სასამართლოს მიერ განხილული საქმე, სადაც ქალმა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ქვის თავში სროლის შედეგად მიიღო. მოწმეთა ჩვენებებით ირკვევა, რომ მსჯავრდებული ქვებს უმისამართოდ ისროდა და შესაძლოა ქვა ეზოში მყოფ ნებისმიერ პირს მოხვედროდა.[21]

სისხლის სამართლის საქმის მასალების ანალიზის გარდა, ქვეყანაში დაზარალებულთა მხარდამჭერი სერვისების შესაფასებლად ასევე ჩატარდა 2 ფოკუს ჯგუფის შეხვედრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალურ პროკურატურაში დასაქმებულ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებთან, ხოლო 10 ინდივიდუალური შეხვედრა ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის დაზარალებულებთან.

16 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე 1/5222-21
17 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/1956-21
18 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/1956-21
19 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/1956-21
20 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/1956-21
21 სიღნაღის რაიონული სასამართლოს საქმე #1-169

2. ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის სტატისტიკა

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის 14 საქმე გააანალიზა. გაანალიზებული 14 საქმიდან 12 საქმე ეხებოდა ფემიციდის მცდელობას, ხოლო 2 საქმე ფემიციდს.

დიაგრამა N1: ფემიციდის ჩამდენი პირები



დიაგრამა N2: ფემიციდის მცდელობის ჩამდენი პირები

სტატისტიკის თანახმად, ტენდენცია უცვლელია და ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობას ყველაზე ხშირად ქმრები/ყოფილი ქმრები ჩადიან. საანგარიშო წელს ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის ჩადენის მოტივად „შურისძიება“, „ეჭვიანობა“, „ურთიერთშელაპარაკება“ სახელდება. ასევე, სასამართლოები ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის ჩადენის მოტივად „გენდერულ ნიშანსაც“ უთითებენ.

დიაგრამა N3: ფემიციდის ჩადენის მოტივი[22]

დიაგრამა N4: ფემიციდის მცდელობის ჩადენის მოტივი



22 ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის ჩადენის მოტივის სტატისტიკა დათვლილია სასამართლოების მიერ განაჩენებში გამოკვეთილი მოტივების მიხედვით.

ფემიციდის სპეციფიკის გათვალისწინებით, ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობა ძირითად შემთხვევაში სახლშია ჩადენილი.

დიაგრამა N5: ფემიციდის ჩადენის ადგილი



დიაგრამა N6: ფემიციდის მცდელობის ჩადენის ადგილი



საანგარიშო პერიოდში **ფემიციდის ჩადენის იარაღი** 1 შემთხვევაში ცეცხლსასროლი იარაღი იყო, ხოლო 1 შემთხვევაში - ლითონის საგანი. რაც შეეხება **ფემიციდის მცდელობის ჩადენის იარაღს**, 7 შემთხვევაში - დანა, 1 შემთხვევაში - ცეცხლსასროლი იარაღი, 1 შემთხვევაში ბენზინი, 1 შემთხვევაში - ნაჯახი, 1 შემთხვევაში - მედიკამენტი, 1 შემთხვევაში - სამართებელი.

წინა წლებისგან განსხვავებით, ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის ჩადენის დროს მოძალადეები უმეტეს შემთხვევაში ფხიზელ მდგომარეობაში იყვნენ.[23] სტატისტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ტენდენცია უცვლელია და ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის ჩამდენი პირები უმრავლეს შემთხვევაში საშუალო განათლების მქონე და უმუშევარი ან დაბალი შემოსავლის მქონეები არიან.[24]

ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის ჩამდენ პირთა ნასამართლობა ასე გამოიყურება:

დიაგრამა N7: ფემიციდის ჩამდენი პირების ნასამართლობა



დიაგრამა N8: ფემიციდის მცდელობის ჩამდენი პირების ნასამართლობა



23 ფემიციდის 2-ვე შემთხვევაში პირი ფხიზელ მდგომარეობაში იყო. ხოლო ფემიციდის მცდელობის შემთხვევაში 12 შემთხვევიდან 8 შემთხვევაში პირი ფხიზელი იყო.

24 **განათლება:** ფემიციდის ჩამდენ 1 პირს საშუალო განათლება ჰქონდა მიღებული, ხოლო მე-2 პირს არასრული საშუალო განათლება. რაც შეეხება ფემიციდის მცდელობის ფაქტებს, 6 შემთხვევაში პირს მიღებული ჰქონდა საშუალო განათლება, 4 შემთხვევაში - არასრული საშუალო, ხოლო 2 შემთხვევაში - უმაღლესი განათლება.
დასაქმება: ფემიციდის ჩამდენი 1 პირი უმუშევარი იყო, ხოლო 1 პირი - მშენებლობის მუშა. ფემიციდის მცდელობის ჩამდენი პირების დასაქმების სტატისტიკა ასეთია:
უმუშევარი - 9 პირი, მცხობელი - 1 პირი, მშენებლობის მუშა -1 პირი, მწყემსი - 1 პირი

გაანალიზებული 14 საქმიდან 4 ბრალდებული და 6 დაზარალებული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები იყვნენ.

ფემიციდისათვის დანიშნული ყველაზე მკაცრი სასჯელი იყო 18 წლით თავისუფლების აღკვეთა, ყველაზე მსუბუქი 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. ფემიციდის მცდელობისათვის დანიშნული ყველაზე მკაცრი სასჯელი იყო 16 წელი, 9 თვე და 15 დღე, ხოლო ყველაზე მსუბუქი - 5 წლისა და 3 თვის ვადით პირობით თავისუფლების აღკვეთა. ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეების კვალიფიკაცია ასეთია:

ფემიციდის საქმეები:

საქმის კვალიფიკაცია[25]	**საქმეების რაოდენობა**
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „$დ^1$“ და „ვ“ ქვეპუნქტები;	1
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „$დ^1$“ და „ვ“, მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები;	1

ფემიციდის მცდელობის საქმეები:

საქმის კვალიფიკაცია[26]	**საქმეების რაოდენობა**
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლი	3
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-115-ე მუხლის პირველი ნაწილი	1
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-115-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი	1
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-19-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „$დ^1$“ და „ვ“ ქვეპუნქტები	1
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „$დ^1$“ ქვეპუნქტი	1
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი	1
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ და მე-5 ნაწილის „$დ^1$“ ქვეპუნქტები	1
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-117-ე მუხლის მე-3 ნაწილი	1
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლის მე-3 „ბ“ ქვეპუნქტი	1

25 საქმეების კვალიფიკაციები მითითებულია 2021 წელს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით.

26 იგივე

3. ფემიციდის გამოვლენილი კატეგორიები და ტიპები

ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეების მონიტორინგისას ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის რამდენიმე კატეგორია და ტიპი გამოვლინდა. საანგარიშო პერიოდში ქმრის მიერ ცოლის მკვლელობის მიზეზი გახდა ეჭვიანობა, დაშორება, რაც ბრალდებულის აზრით, მას ღირსებას ულახავდა.[27] ორ საქმეში შვილები დედის სიცოცხლის მოსპობას იმის გამო შეეცადნენ, რომ დედა იყო „გათხოვილი ქალი", მას არ ჰქონდა მეგობარი კაცის ყოლის და ამით ოჯახის ღირსების შელახვის უფლება.28 ქალს სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებებს აყენებდნენ მათი ოჯახის წევრ კაცებზე ანგარიშსწორების მიზნით, ვინაიდან მათ კაცის კუთვნილებად მიიჩნევდნენ.29 ეჭვიანობა სხვა კაცთან ურთიერთობის გამო, იმის მიუხედავად, ეს იყო რეალური თუ წარმოსახვითი კავშირი, კვლავ წარმოადგენდა ქალის მკვლელობის თუ მისი თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის მოტივს.[30]

ქალის მკვლელობას მცდელობას ჰქონდა ადგილი იმის გამო, რომ დაზარალებულმა ქუჩაში შემთხვევით გამვლელ კაცებს სექსუალურ კავშირზე უარი უთხრა, მაშინ როცა „ქერა ქალისაგან უარს სქესობრივ კონტაქტზე ბრალდებული უჩვეულოდ მიიჩნევდა."[31] ქალის დაწვა სცადეს იმის გამო, რომ ქვრივად დარჩენის შემდეგ უარი თქვა ნათესავი კაცის მზრუნველობაზე, რომელიც საოჯახო საქმეებში დახმარებასთან ერთად, ქალს სატელეფონო მიმოწერას უმოწმებდა.[32] ქალს დანით სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება მიაყენეს იმის გამო, რომ ყოფილ პარტნიორ კაცს ნება არ დართო საერთო შვილი ახალ ოჯახში მუდმივად საცხოვრებლად წაეყვანა, კაცი კი თვლიდა, რომ შვილი მხოლოდ მისი იყო და შესაბამისად, მასთან ერთად, ახალშექმნილ ოჯახში უნდა ეცხოვრა.[33] მაზლმა თავის არეში ნაჯახი ჩაარტყა თავის რძალს იმის გამო, რომ ძაღლი ეზოს აბინძურებდა და დაზარალებული არ ალაგებდა.[34] ბრალდებული ყოფილი პარტნიორი ქალის განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობას შეეცადა იმის გამო, რომ წარსულში იმავე ქალზე ძალადობისათვის შემაკავებელი ორდერი იქნა გამოწერილი.[35] ქმარმა თავისი „მამაკაცური ღირსების" დამცირებად მიიჩნია ცოლის დავალება, წასულიყო მაღაზიაში. ამის გამო დანით სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება მიაყენა დაზარალებულს.[36] ახალგაზრდა ქალმა თვითმკვლელობა სცადა იმის გამო, რომ მამა ამცირებდა ზღვაზე დასასვენებლად კაცთან ერთად წასვლის გამო.[37]

27 რუსთავის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/692-21

28 გურჯაანის რაიონული სასამართლოს საქმე #1/47-21 და სენაკის რაიონული სასამართლოს 1/29-2021

29 სიღნაღის რაიონული სასამართლოს საქმე №1/60-21

30 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/1251-22; სამტრედიის რაიონული სასამართლოს საქმე #1/152-21 და თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/3595-21

31 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/4041-21

32 ფოთის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/236-2021

33 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/5623-21

34 მცხეთის რაიონული სასამართლოს საქმე №1/254-21

35 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4189-21

36 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/1690-21

37 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1ბ/რ790-21

4. გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები

4.1. მკვლელობის მცდელობა და სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება (დაზიანების მცდელობა)

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემას წარმოადგენდა მკვლელობის მცდელობის გამიჯვნა სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისაგან. საქართველოს პროკურატურამ ორ საქმეში ქალის მიმართ მიყენებული სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებებისათვის პირს ბრალი წაუყენა სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების მუხლით, მაშინ როცა იკვეთებოდა მკვლელობის განზრახვა. ბრალდებულის ნამდვილი განზრახვის დასადგენად, მნიშვნელოვანია გამოძიებამ ზედმიწევნით იხელმძღვანელოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2018 წლის 17 მაისის №680აპ განაჩენში განმარტა, რომ განზრახ მკვლელობის მცდელობის და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების გამიჯვნისას პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საქმის ყველა დეტალს. პალატამ აღნიშნა, რომ ორი სამართლებრივი მოცემულობის (განზრახ მკვლელობის მცდელობა და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) ქმედების კვალიფიკაციისას შეცდომის გამოსარიცხად, სასამართლოებმა ზედმიწევნით დეტალურად უნდა შეისწავლონ და გაანალიზონ საქმეში არსებული ყველა გარემოება. ვინაიდან გამოსაკვეთია დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობის - განზრახვის ელემენტი, რომლის მიმართულებაც განასხვავებს განზრახ მკვლელობის მცდელობას ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისაგან. განზრახვის დასადგენად კი შესწავლილი უნდა იქნეს: **დანაშაულის ჩადენის ხერხი და საშუალება, დაზიანებათა რაოდენობა და მათი ლოკალიზაცია, როგორ ვითარებაში იქნა ისინი მიყენებული, დამნაშავისა და მსხვერპლის ურთიერთდამოკიდებულება ზოგადად და დაზიანების მიყენების მომენტში და სხვა.** პალატა ასევე აღნიშნავს, რომ დანაშაულებრივი ქმედების სწორად დაკვალიფიცირებისათვის სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ასევე დანაშაულებრივი ქმედების შეწყვეტის მიზეზები და დამნაშავის ქცევა მოქმედების ჩადენის შემდეგ. სწორედ ამ გარემოებათა შეფასების შედეგად უნდა გადაწყვეტოს სასამართლომ - ჩადენილი უმართლობა გამოწვეული იყო თუ არა პირის მოკვლის განზრახვით.

პროკურატურის მიერ ქალის მკვლელობის მცდელობის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დანაშაულად არასწორი კვალიფიკაციის ნათელი მაგალითია ფოთის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული საქმე.[38] ამ საქმეში ბიძის გარდაცვალების შემდეგ, ბრალდებულმა გადაწყვიტა ეზრუნა ბიცოლაზე და მის ობლად დარჩენილ სამ შვილზე. ბრალდებული დაზარალებულს უმოწმებდა მობილური ტელეფონის და სოციალური ქსელის მიმოწერებს, ეჭვიანობდა, ხომ არ ჰქონდა დაზარალებულს უცხო კაცთან ურთიერთობა. ბრალდებული თავის ბიცოლას ეუბნებოდა, რომ მისი თანხმობის გარეშე არ ჰქონდა უცხო კაცთან კონტაქტის უფლება. ამის გამო დაზარალებულს მოუვიდა შეკამათება ბრალდებულთან.[39]

დაზარალებულმა, ვინაიდან გავრცელდა არასწორი ინფორმაცია, რომ მას და ბრალდებულს ინტიმური ურთიერთობა ჰქონდათ, ბრალდებულს მის სახლში მისვლა აუკრძალა. 2021 წლის 17 მაისს ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფი ბრალდებული მივიდა დაზარალებულის სახლში, სადაც დაზარალებული და მისი ბავშვები იყვნენ. დაზარალებულსა და ბრალდებულს შეკამათება მოუვიდათ, რა დროსაც ბრალდებულმა იყვირა „მოგკლავ“ და „დავწვავ აქაურობა-

38 ფოთის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/236-2021

39 ფოთის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/236-2021

სო“. ჯერ დაზარალებულს ანთებული სიგარეტი დაადო. ხოლო შემდგომ აიღო პლასტმასის ბოთლი, სადაც 300 გრამი ბენზინი ესხა და ბენზინი მიასხა როგორც გულმკერდის არეში, ისე საბანზეც. ბრალდებულმა გაკრა ასანთი, თუმცა დაზარალებულის შვილმა ხელი მოიქნია და ჩააქრო. ბრალდებული ყოველ მცდელობაზე - აენთო ასანთი - ხვდებოდა დაზარალებულის და მისი შვილების ერთობლივ წინააღმდეგობას. ბოლოს ბრალდებულმა დატოვა საცხოვრებელი სახლი, ხოლო დაზარალებულმა დარეკა 112-ის სამსახურში.[40]

2021 წლის 21 მაისის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, პირადი შემოწმებისას დაზარალებულს სხეულზე აღენიშნება დაზიანება I ხარისხის დამწვრობითი უბნის სახით. დაზიანება განვითარებულია რაიმე მაღალი ტემპერატურის ადგილობრივი ზემოქმედების შედეგად და მიეკუთვნება სხეულის დაზიანების მსუბუქ ხარისხს.[41] პროკურატურამ ბრალდებულის ქმედება დააკვალიფიცირა არა მკვლელობის მცდელობად, არამედ გენდერის ნიშნით ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მცდელობად (სისხლის სამართლის კოდექსის 19-117-5-დ[1])).

მოცემულ შემთხვევაში, საყურადღებოა ის გარემოება, რომ ბრალდებულმა დანაშაულის ჩასადენად აირჩია სიცოცხლის ხელყოფისათვის საშიში საშუალება - ბენზინი. ბრალდებულმა დაზარალებულს ბენზინი მიასხა გულმკერდის არეში ტანსაცმელზე, რაც აალების შემთხვევაში დაზარალებულის სიკვდილს გამოიწვევდა. ამასთან, გასათვალისწინებელია დაზარალებულის ჩვენების ის ნაწილი, სადაც ბრალდებული დაზარალებულს მოკვლით ემუქრებოდა. სასამართლო პრაქტიკით, ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენამდე წარმოთქმული სიტყვები, ჩადენილ ქმედებებთან ერთობლიობაში, ბრალდებულის განზრახვის დასადგენად მხედველობაში მიიღება. ამასთან ბრალდებულმა დაიწყო სიცოცხლის მოსპობის დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება, თუმცა მესამე პირების წინააღმდეგობის გამო ეს განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა. ამგვარად, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ბრალდებულის ქმედებაში იკვეთებოდა მკვლელობის მცდელობის და არა სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების მცდელობის ნიშნები.

დამატებით გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მკვლელობის მცდელობის ჩადენა ხდებოდა არასრულწლოვანი ბავშვების თანდასწრებით. გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებები მიუთითებდა, რომ ბრალდებული დაზარალებულის მკვლელობას მისი 3 არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით ცდილობდა. პრაქტიკაში ასეთი ქმედებები კვალიფიცირდებოდა 2021 წლის 27 აპრილის რედაქციით სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-3-„ბ“ მუხლით (მკვლელობის მცდელობა განსაკუთრებული სისასტიკით). ამის მიუხედავად, პროკურატურა არ დაელოდა გამოძიების მიერ დანიშნული ქიმიური ექსპერტიზის დასკვნას, რაც ბენზინის გამოყენების გარემოებას გამოკვეთდა და ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმება გააფორმა. მართალია, საბოლოოდ ბრალდებულს შეეფარდა 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, თუმცა განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქმედების სწორ სამართლებრივ კვალიფიკაციას და შემდგომში, განხორციელებული ქმედების გამო ადეკვატური სასჯელის დანიშნვას.

მკვლელობის მცდელობის და არა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების ნიშნები იკვეთებოდა გურჯაანის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეშიც.[42] 2021 წლის იანვრის ბოლოს საზღვარგარეთ ყოფნისას ბრალდებულს ტელეფონით დაუკავშირდა მეზობელ სოფელში მცხოვრები პირი, რომელმაც უთხრა, რომ ორი დღის წინ ღამით ჩუმად გაჰყვა სახლიდან

40 ფოთის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/236-2021

41 ფოთის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/236-2021

42 გურჯაანის რაიონული სასამართლოს საქმე #1/47-21

გასულ მამამისს, რომელიც ბრალდებულის დედასთან მივიდა. ბრალდებულმა გაიგო, რომ დედამისს სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა სხვა კაცთან და დედას საყვედურობდა, შეეწყვიტა ურთიერთობა უცხო კაცთან.[43]

მას შემდეგ რაც ბრალდებული საქართველოში დაბრუნდა, ერთ-ერთ დღეს ცოლს სთხოვა თავისი მშობლების სახლში წასულიყო, ვინაიდან დედასთან ცალკე უნდოდა დალაპარაკება. ცოლმა ბრალდებულს უთხრა რომ მშობლების სახლში წავიდოდა, თუმცა ეზოში გავიდა და იქიდან ისმენდა ქმრისა და დედამთილის საუბრის შინაარსს. ბრალდებულის განმარტებით, მან ვერ აიტანა, რომ დედამისს სხვა კაცთან ჰქონდა ინტიმური ურთიერთობა და მამამისს ღალატობდა. ბრალდებულმა დაზარალებულს ყელში მოკიდა ხელი, სკამიდან გადააგდო, წააქცია და სამზარეულოს დანა სამჯერ ჩაარტყა. ბრალდებულმა ერთი ჭრილობა მუცლის არეში მიაყენა, მეორე ზურგის არეში, მესამე - დუნდულაზე. ბრალდებულის განმარტებით, დანის სამჯერ ჩარტყმის შემდეგ, მან დედამისს თავი დაანება, ვინაიდან არ ჰქონდა მისი მოკვლის განზრახვა. ბრალდებულს ერთი წუთის დასრულებული ჰქონდა დედისათვის დაზიანების მიყენება, როცა ოთახში მისი ცოლი შევიდა. ბრალდებულის განმარტებით, მას დედის მოკვლის სურვილი რომ ჰქონოდა, მისი ცოლის შესვლამდე კიდევ მიაყენებდა დაზიანებებს. ბრალდებულის თქმით, აღნიშნულის შემდეგ ცოლი თავისი სიდედრის სახლში წაიყვანა, ხოლო თავად დედამისის დასახმარებლად სახლში დაბრუნდა, თუმცა იგი სახლში არ დახვდა.[44] სახლში მისვლის შემდეგ, ბრალდებულმა გაწმინდა დანა, შემდეგ სახლიდან გავიდა და მეზობლებთან ერთად მყოფ დედას სახლში წასვლა შესთავაზა.[45]

2021 წლის 1 მარტის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში აღნიშნულია, რომ მუცლის წინა კედლის ნაჩხვლეტ-ნაკვეთი ჭრილობა მსხვილი ნაწლავის და ბადექონის დაზიანებით მიეკუთვნება დაზიანებათა მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის სახიფათო. ხოლო ნაჩხვლეტ-ნაკვეთი ჭრილობა გულმკერდის მარცხენა ნახევარში, არშემავალი გულმკერდის ღრუში და ნაჩხვლეტ-ნაკვეთი ჭრილობა მარცხენა მენჯ-ბარძაყის არეში მიეკუთვნება დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლის ნიშნებით.[46]

პროკურატურამ გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა იმ გარემოებას, რომ ცოლის ოთახში შესვლამდე ბრალდებულს ჰქონდა დედისთვის დამატებითი დაზიანებების მიყენების შესაძლებლობა, თუმცა ერთი წუთის განმავლობაში, სანამ ცოლი ოთახში შევიდოდა, სამი ჭრილობის მეტი, ბრალდებულს დედისათვის არ მიუყენებია. პროკურატურის ვერსიით, ეს გარემოება ადასტურებდა იმას, რომ ბრალდებულს არ ჰქონია დედის მკვლელობის განზრახვა, არამედ სახეზე იყო დაზარალებულისათვის სხეულის მძიმე დაზიანების მიყენების სურვილი.

უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, უნდა გაირკვეს, სახეზე იყო სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების თუ მკვლელობის განზრახვა. უდაოა, რომ ერთი წუთის განმავლობაში ბრალდებულს დედისათვის ჰქონდა დამატებითი ჭრილობის მიყენების შესაძლებლობა. თუმცა, გასათვალისწინებელია დაზიანების მიყენების რაოდენობა - 3 ჭრილობა, ლოკალიზაცია - მუცლის არე, რაც მიუთითებს მკვლელობის განზრახვაზე.

მკვლელობის მცდელობად ბრალდებულის ქმედების კვალიფიკაციისათვის თანაბრად მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო დანაშაულის ჩადენის შემდეგ ბრალდებულის მიერ განხორციელებული ქმედებები. ბრალდებულის განზრახვა დედისთვის რომ მხოლოდ

43 გურჯაანის რაიონული სასამართლოს საქმე #1/47-21

44 გურჯაანის რაიონული სასამართლოს საქმე #1/47-21

45 გურჯაანის რაიონული სასამართლოს საქმე #1/47-21

46 გურჯაანის რაიონული სასამართლოს საქმე #1/47-21

სხეულის მძიმე დაზიანება ყოფილიყო და არა მკვლელობა, მას პირველადი სამედიცინო დახმარების, შესაძლებლობა მისი მეუღლისათვის უნდა მიეცა. იმის ნაცვლად, რომ ბრალდებულს 112-ის სამსახურში დაერეკა, ბრალდებულს თითქმის ძალით გამოჰყავს მეუღლე სახლიდან, რითაც უსპობს მას შესაძლებლობას 112-ში დარეკოს ან აღმოუჩინოს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება და დაზარალებულს მარტო ტოვებს. შემდგომშიც, იმის ნაცვლად, რომ ამჯერად მაინც დაერეკა 112-ში, ბრალდებული დანაშაულის კვალს შლის.[47]

გამოძიებამ სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებად კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა იმ გარემოებას, რომ ბრალდებულს არაფერი უშლიდა ხელს, რომ დაზარალებულისათვის სამზე მეტი დაზიანება მიეყენებინა. ამის მიუხედავად, გამოძიებამ მხედველობის მიღმა დატოვა ქმედებები, რაც ბრალდებულმა ჩაიდინა დედისათვის სამი ჭრილობის მიყენების შემდეგ. უზენაესი სასამართლო, ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის, ითხოვს როგორც ქვემდგომი სასამართლო ინსტანციებისგან, ისე გამოძიებისაგან, მხედველობაში მიიღონ დანაშაულის შეწყვეტის შემდეგ, ბრალდებულის მიერ განხორციელებული ქმედებები, რათა გაირკვეს ბრალდებულის ნამდვილ განზრახვას დაზარალებულის მკვლელობა წარმოადგენდა თუ სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება. სამი ჭრილობის, მათ შორის ერთის სასიცოცხლო ორგანოში მიყენების შემდეგ, ბრალდებულმა ყველა პირობა შექმნა დაზარალებულის სიცოცხლის დასასრულებად - სახლში მისი მარტო დატოვების, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის და სასწრაფოს გამოძახების შესაძლებლობის მოსპობის გზით.

ბრალდებულმა ყველაფერი გააკეთა სასიკვდილო შედეგის დასადგომად, თუმცა ამგვარი შედეგი გარე ფაქტორების ჩარევის შედეგად არ დადგა. ეს გარემოება ადასტურებს იმას, რომ ქმედების კვალიფიკაცია უნდა მომხდარიყო არა სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-117-3ე-5დ მუხლით (ოჯახის წევრის მიმართ გენდერის ნიშნით სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება), არამედ 11^1-19-109-2დ[1], ვ მუხლით (ოჯახის წევრის მკვლელობის მცდელობა გენდერის ნიშნით). გამოძიება ქმედების ამგვარი კვალიფიკაციის მართებულობამდე მივიდოდა, ბრალდებულის გამოკითხვის ოქმის იმ ნაწილის ჯეროვნად შეფასებისას, სადაც საუბარია დანაშაულის შეწყვეტის შემდეგ, ბრალდებულის მიერ განხორციელებულ ქმედებებზე.[48] აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს არის გამოძიების, კონკრეტულად კი პროკურატურის ხარვეზი, რომლის გამოსწორების შესაძლებლობა ობიექტურად არ არსებობდა საქმის სასამართლო განხილვისას, ვინაიდან სასამართლოს ეკრძალება კვალიფიკაციის შეცვლა ბრალდებულის საუარესოდ. შესაბამისად, პროკურატურას მართებდა საქმის ყველა გარემოების სათანადო გამოკვლევა და ქმედების სწორი კვალიფიკაცია.[49]

4.2. გენდერის ნიშნის გამოკვეთის პრობლემა

მონიტორინგის შედეგად შესწავლილი 14 საქმიდან 6 შემთხვევაში საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ ქმედება გენდერის ნიშნით დაკვალიფიცირდა. დანარჩენ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ საქმის მასალების შესწავლის შედეგად იკვეთებოდა დანაშაულის ჩადენის გენდერული მოტივის ნიშნები, ქმედების სპეციალური მუხლით კვალიფიკაცია არ მომხდარა. აღნიშნულ ქვეთავში განხილულია 3 განსაკუთრებით პრობლემური შემთხვევა, სადაც დანაშაულის გენდერის ნიშნით ჩადენის მოტივი ცალსახად იკვეთებოდა.

იმის მიუხედავად, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ თვითმკვლელო-

47 გურჯაანის რაიონული სასამართლოს საქმე #1/47-21

48 გურჯაანის რაიონული სასამართლოს საქმე #1/47-21

49 გურჯაანის რაიონული სასამართლოს საქმე #1/47-21

ბის ცდამდე მიყვანის ერთ-ერთ საქმეში აშკარად იკვეთებოდა, რომ დაზარალებულმა თავის მოკვლა გენდერული ნიშნით მამის მხრიდან მისი პატივისა და ღირსების სისტემატური დამცირების გამო სცადა, პროკურატურამ გენდერის ნიშანი არ გამოკვეთა და ბრალდებულის ქმედება ზოგადი მუხლით, სისხლის სამართლის კოდექსის 11[1]-115-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დააკვალიფიცირა. როდესაც დაზარალებულის მიმართ დანაშაულებრივი ქმედება გენდერული მოტივით ხორციელდება, მისი კვალიფიკაცია უნდა მოხდეს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და არა ამავე მუხლის პირველი ნაწილით, რაც თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის ზოგადი დანაშაულისათვის ადგენს პასუხისმგებლობას.50

ზემოხსენებულ საქმეში, ბრალდებული დაზარალებულს მისი ოჯახის დანგრევაში ადანაშაულებდა და მისგან კატეგორიულად ითხოვდა დედის დარწმუნებას, სახლში დაბრუნებულიყო. ამის შემდეგ, ბრალდებულმა თავისი შვილის მიმართ დაიწყო წარსულში დაზარალებულის მიერ განხორციელებული ქმედებების გახსენება და შეურაცხყოფა. მამა შვილს ლანძღავდა დასასვენებლად უცხო ადამიანებთან წასვლის გამო. ბრალდებულის თქმით, მას არ სჭირდებოდა ისეთი შვილი, რომელიც მას პოლიციაში უჩივლებდა. მამის მხრიდან მიყენებული შეურაცხყოფის გამო, დაზარალებულმა თავის მოკვლა სცადა.[51]

მართალია, დაზარალებულის სისტემატური დამცირების მთავარი მიზეზი „ოჯახის დანგრევის ხელშეწყობა" იყო, თუმცა ბრალდებული დაზარალებულს შეურაცხყოფას ასევე სხვასთან ერთად დასასვენებლად წასვლის გამოც აყენებდა. ბრალდებული, როგორც „ოჯახის უფროსი" თვლიდა, რომ მას ჰქონდა თავისი შვილის ქმედებების კონტროლის უფლება. დასასვენებლად მასთან შეუთანხმებლად უცხო ადამიანთან ერთად წასვლა, ბრალდებულის აზრით, ახალგაზრდა ქალისათვის შეუფერებელი საქციელი იყო. ბრალდებული თავის შვილს სწორედ ამ მოტივით ამცირებდა. რაც თავის მხრივ დანაშაულის ჩადენის გენდერულ მოტივზე მიუთითებს.

პროკურატურის მიერ ქმედების გენდერის ნიშნით კვალიფიკაციის პრობლემა არსებობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ მკვლელობის მცდელობის კიდევ ერთ საქმეში.[52] 2021 წლის 26 ივნისს ბრალდებულმა დაზარალებულს, განზრახ მოკვლის მიზნით, დანის გამოყენებით ჭრილობები მიაყენა მუცლის ღრუში, ხელსა და წვივზე. რის გამოც ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით (მკვლელობის მცდელობა) წარედგინა.[53]

ბრალდებულმა გამოკითხვაზე განაცხადა, რომ დაინახა ახალგაზრდა გოგო, რომელიც იყო ფიზიკურად ძალიან ლამაზი, ჰქონდა ქერა თმა, რის გამოც ბრალდებულს გოგო მოეწონა, გადაწყვიტა გაყოლოდა და გაეცნო. ბრალდებულმა უთხრა დაზარალებულს, რომ სურდა მისი გაცნობა და სქესობრივი კავშირის დამყარება და ბინაში წაყოლა სთხოვა. გამოკითხვის ოქმიდან ირკვევა, რომ დაზარალებულმა ბრალდებული ხელით მოიშორა და გზა გააგრძელა. ბრალდებული გაბრაზდა იმის გამო, რომ დაზარალებულმა უარი უთხრა სქესობრივი კავშირის დამყარებაზე, რის გამოც უკნიდან ყელის არეში მოჰხვია ხელი და წააქცია. ბრალდებული ზემოდან მოექცა დაზარალებულს, შარვლის მარცხენა ჯიბიდან ამოიღო დანა და წაქცეულ დაზარალებულს რამდენჯერმე დაარტყა სხეულის სხვადასხვა ნაწილში. ბრალდებულის ქმედება პოლიციის თანამშრომელმა აღკვეთა. ბრალდებულის განმარტებით, პოლიციის თანამშრომელს რომ არ შეეშალა მისთვის ხელი, უცნობ გოგოს მოკლავდა. ბრალდებულის თქმით, მკვლელობის მიზეზი სქესობრივი კავშირის დამყარებაზე დაზარალებულის უარი იყო.[54]

50 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1ბ/რ790-21

51 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1ბ/რ790-21

52 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/4041-21

53 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/4041-21

54 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/4041-21

დაზარალებულის განმარტებით, შემთხვევის დღეს გადაადგილებისას ყურსასმენები ეკეთა. მისი თქმით, არც ყელში ხელის მოჭერამდე, არც დანის დარტყმამდე უცნობ კაცს მისთვის არც ფული მოუთხოვია, არც სექსუალური კავშირის დამყარება.[55] ბრალდებულისა და დაზარალებულის მიერ გამოძიებისათვის მიწოდებული ინფორმაცია გარკვეულწილად ერთმანეთთან მოდის წინააღმდეგობაში. თუმცა ამ წინააღმდეგობის ნაწილობრივი ახსნა შესაძლებელია იმით, რომ დაზარალებულს ეკეთა ყურსასმენი და სექსუალური აქტის დამყარების შესახებ ბრალდებულის შემოთავაზებას ვერ გაიგებდა. ნებისმიერ შემთხვევაში, უპირატესობა უნდა მინიჭებოდა ბრალდებულის აღიარებას - სექსუალური აქტის დამყარების მოტივით დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით. ვინაიდან მოტივი დანაშაულის სუბიექტურ მხარეს მიეკუთვნება და შესაბამისად, ბრალდებულმა უკეთ იცის, რატომ ჩადის დანაშაულს.

2021 წლის 11 ნოემბერის ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით ბრალდებულს აღენიშნებოდა არაფსიქოზური დონის ფსიქიკური აშლილობა - ემოციურად არამდგრადი პერსონოლოგიური აშლილობა. თუმცა ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და მართლწინააღმდეგობა და ეხელმძღვანელა მისთვის (შერაცხადობა). ექსპერტიზის ჩატარების დროს, ბრალდებულს აღენიშნებოდა ემოციურად არამდგრადი პერსონოლოგიური აშლილობა, დეკომპენსაციის მდგომარეობა და თავისი ფსიქიკური მდგომარეობით მას არ შეეძლო საკუთარი თავისთ-ვის ანგარიში გაეწია, მიეცა ჩვენება და მონაწილეობა მიეღო საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებებში.[56]

ამასთან, პროკურატურამ პირის ბრალდების შესახებ დადგენილება მიიღო იმ დრომდე, ვიდრე ცნობილი გახდებოდა ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის შედეგები. პირის ბრალდების დადგენილების მიღების მომენტში გამოძიებას უკვე გამოკითხული ჰყავდა ბრალდებული, რომელიც აცხადებდა, რომ დაზარალებულზე თავდასხმის მოტივი იყო სექსუალურ კავშირზე უარის თქმა. შესაბამისად, ბრალდებულის გამოკითხვის ოქმი მიუთითებდა გენდერული ნიშნით მკვლელობის მცდელობის ჩადენაზე და ბრალდებულის გამოკითხვის ოქმიდან გამომდინარე, ქმედების კვალიფიკაცია უნდა მომხდარიყო არა სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით (მკვლელობის მცდელობა), არამედ იმ დროს მოქმედი 19-109-დ[1] მუხლით (გენდერის ნიშნით მკვლელობის მცდელობა).

მოტივის გამოკვეთის პრობლემა იყო მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში, რომელიც ფემიციდის მცდელობის ფაქტს ეხებოდა.[57] 2021 წლის 10 აგვისტოს, რო-დესაც დაზარალებული ძაღლის მიერ დაბინძურებულ ეზოს ალაგებდა, ბრალდებულთან ურთი-ერთშელაპარაკება მოუვიდა, რის გამოც ბრალდებული გაღიზიანდა და დაზარალებულს ცული თავის არეში ჩაარტყა. დანაშაულის ჩადენის მოტივი ძაღლის მოვლასთან დაკავშირებით ჰიგიენური მოთხოვნების დაუცველობა გახდა. ბრალდებულის პოზიციით, დაზარალებულ ქალს სახლში ჰიგიენა უნდა დაეცვა, რაც ძაღლის მოშინაურების გამო ვერ ხერხებოდა.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კონფლიქტის ძირითადი მიზეზი ძაღლი იყო. ბრალდებული მუდმივად მოითხოვდა, რომ ძაღლი სახლიდან წაეყვანათ. თუმცა, ამასთან ერთად, როგორც დაზარალებულის მიერ გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებიდან ირკვევა, ბრალდებულს დაზარალებულთან კონფლიქტი იმის გამოც ჰქონდა, რომ იგი ქალი იყო და შესაბამისად ძაღლის მიერ დაბინძურებული ეზო მას უნდა დაელაგებინა. აღნიშნულ გარემოებას კი სამართალდამცავი უწყებების მხრიდან შესაბამისი რეაგირება არ მოჰყვა, რამაც სისხლის სამართლის საქმეზე გენდერული მოტივის გამოკვეთას ხელი შეუშალა.

55 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/4041-21

56 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/4041-21

57 მცხეთის რაიონული სასამართლოს საქმე №1/254-21

ამსისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლი მოსამართლეს ანიჭებს უფლებას, დანაშაულის არასწორი კვალიფიკაციის შემთხვევაში, მხოლოდ ბრალდებულის სასარგებლოდ შეცვალოს ქმედების კვალიფიკაცია. სწორედ ამიტომ აღნიშნულ ქვეთავში განხილულ საქმეებში, პროკურატურის არასწორმა კვალიფიკაციამ ქმედების უფრო მსუბუქი მუხლით კვალიფიკაცია და შემდგომში მსუბუქი სასჯელის დანიშვნა გამოიწვია..

მოტივის დადგენის თვალსაზრისით, სანიმუშოა სენაკის რაიონული სასამართლოს მიერ განხილული საქმე. სადაც ბრალდებულს თავდაპირველად ბრალი წაუყენეს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1]-19-109 მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით (ოჯახის წევრის მკვლელობის მცდელობა).[58] გამოძიების თავდაპირველი ვერსიით, ბრალდებულმა დედის მკვლელობა იმის გამო სცადა, რომ დაზარალებულმა სამართალდამცავ ორგანოს შვილის მიერ კანაფის კულტივაციის ფაქტი შეატყობინა. თუმცა, შესაბამისი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების ჩატარების შედეგად გაირკვა, რომ შესაძლო დანაშაულის ჩადენის მოტივი დედის უცხო კაცებთან ურთიერთობა იყო. ბრალდებულმა ერთ-ერთ მოწმეს უთხრა: „დედამ ასეთი რამე რატომ გამიკეთა, რა დავუშავე; დედაჩემია მაინც და როგორ მოვკლაო.“

ქალის ინტიმურ ცხოვრებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვების პროცესში გამოძიებას მოეთხოვება ზომიერების დაცვა. სამართალდამცავი ორგანოები არ უნდა გასცდნენ ქმედების სწორი კვალიფიკაციის მიზნის მისაღწევად დადგენილ ფარგლებს და ზედმეტად არ უნდა გამოიკვლიონ მსხვერპლი ქალის პირადი ცხოვრება. გამოძიების პროცესში უნდა მოიპოვონ იმგვარი მინიმალური მტკიცებულებები, რაც ქალის ინტიმურ ცხოვრებასთან დაკავშირებით მისი ოჯახის კაც წევრს უჩენს მკვლელობის სურვილს. ამ კონკრეტულ საქმეში მისასალმებელია, რომ გამოძიება არ დაინტერესებულა კონკრეტულად რომელ კაცთან ჰქონდა დაზარალებულს ინტიმური ურთიერთობა ან რა შინაარსის მიმოწერები ჰქონდა დაზარალებულს თავის მეგობარ კაცთან და შემოიფარგლა ზოგადი ინფორმაციის მოპოვებით. კერძოდ იმით, რომ ბრალდებულმა გაიგო იმის შესახებ, რომ დედამისს სხვა პარტნიორი ჰყავდა, მიიჩნია, რომ ეს იყო ქალისათვის შეუფერებელი საქციელი და სიცოცხლის მოსპობის გზით გადაწყვიტა დედის დასჯა. საბოლოოდ, ამ საქმეში სამართალდამცავმა ორგანომ სამართლიანი ბალანსი დაიცვა ქალის პირადი ცხოვრების დაცვის ინტერესსა და მართლმსაჯულების აღსრულების ინტერესს შორის.

4.3. საპროცესო შეთანხმებების გაფორმების პრაქტიკა

საანგარიშო პერიოდში ფემიციდის მცდელობის ორ საქმეზე გაფორმდა საპროცესო შეთანხმება. ორი საქმიდან ერთ საქმეზე პროკურატურის მიერ ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების გაფორმება პრობლემურია. ერთი საქმე, რომელიც არსებითი განხილვის გარეშე განიხილა ფოთის რაიონულმა სასამართლომ[59] და ეხებოდა მულის შვილის მიერ ბიცოლასათვის ბენზინის გადასხმას და ცეცხლის მოკიდების მცდელობას. საპროცესო შეთანხმების დასადებად ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა მინიჭებოდა დაზარალებულის სანოტარო წესით დადასტურებულ განცხადებას ბრალდებულთან პრეტენზიის არ ქონასთან დაკავშირებით. თავად გამოძიებაც აღიარებდა, რომ დანაშაული იყო გენდერული მოტივით და ბრალდებულის მიმართ პრეტენზიების არ არსებობა, შესაძლოა, ქმრის ნათესავების მხრიდან ზემოქმედებით ყოფილიყო განპირობებული. რაც თავის მხრივ დაზარალებულზე დამნაშავის დასჯის პასხისმგებლობის გადატანის რისკებს ქმნის.

58 სენაკის რაიონული სასამართლოს 1/29-2021

59 აღნიშნული საქმე განხილულია 4.1 ქვეთავში

ქმედების კვალიფიკაციასთან ერთად, ამ საქმეში პრობლემურია საპროცესო შეთანხმების ნაჩქარევი გაფორმება. ამის მიუხედავად, ამ ფორმით გაფორმებული საპროცესო შეთანხმება ნაწილობრივ დააბალანსა იმ გარემოებამ, რომ ბრალდებულს 4 წელი და 6 თვე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უნდა მოეხადა და ამით იზოლირებული იქნებოდა დაზარალებულისაგან.[60]

შედარებით სამართლიანი და ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებასთან ადეკვატური იყო საპროცესო შეთანხმების პირობები მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში, რომელიც ფემიციდის მცდელობის ფაქტს ეხებოდა.[61]

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ დაზარალებულმა დაწერა განაცხადება ბრალდებულის მიმართ პრეტენზიების არ ქონასთან დაკავშირებით. ასევე განაცხადა, რომ თანხმა იყო მასთან გაფორმებულიყო საპროცესო შეთანხმება. მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ არსებითი განხილვის გარეშე მიღებული განაჩენით დამტკიცებული საპროცესო შეთანხმების მიხედვით, ბრალდებულს შეეფარდა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 5 წელი განისაზღვრა ფაქტობრივად პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად.

ბუნებრივია, ფემიციდის მცდელობისათვის ადამიანის 5 წლით იზოლაცია სხვა შემთხვევაში არ ჩაითვლებოდა პროპორციულ სასჯელად, თუმცა ამ შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები მსჯავრდებულის ასაკი (72 წელი). რის გამოც ნაკლები რისკია იმისა, რომ მსჯავრდებულმა 5 წლის შემდეგ, გაიმეოროს მის მიერ ჩადენილი ძალადობრივი ქმედება. შესაბამისად, 5 წლით თავისუფლების აღკვეთა ემსახურება დანაშაულის პრევენციის ფუნქციას.

ფემიციდის მცდელობის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი დასაშვებია იმ თვალსაზრისით, თუკი საპროცესო შეთანხმების პირობები სამართლიანია, უზრუნველყოფს ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ადეკვატური სიმკაცრის სასჯელის დანიშვნას, საკუთარი ქმედების გააზრების შესაძლებლობის მიცემას და რაც მთავარია, ფემიციდის პრევენციას. განხილული საქმეებიდან ამ მიზნების მიღწევას უზრუნველყოფდა მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეზე გაფორმებული საპროცესო შეთანხმება, ნაკლებად უზრუნველყოფდა ფოთის რაიონულ სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში გაფორმებული საპროცესო შეთანხმება და სასჯელის მიზნები საერთოდ ვერ მიიღწეოდა სიღნაღის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში.

4.4. გამოძიების სხვა ხარვეზები

საანგარიშო პერიოდში ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის საქმეების გამოძიება ხასიათდებოდა ისეთი ტიპის ხარვეზებით, როგორიცაა დანაშაულის უშუალო თვითმხილველი ბავშვის გამოკითხვასა და მის დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმა.[62] გარდა ამისა, სათანადო პროცედურების დაცვით ბრალდებულის ტელეფონი არ ამოღებულა და შემდგომში არ მომხდარა მისი დათვალიერება, მაშინ როდესაც ქალი თვითმკვლელობის ცდამდე მივიდა ტელეფონიდან გაგზავნილი პატივისა და ღირსების შემლახავი შეტყობინებების შედეგად.[63] ასევე, გამომძიებელმა სასამართლოს განჩინების გარეშე ამოიღო დაზარალებულის ავადმყოფობის ის-

60 ფოთის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/236-2021

61 დეტალური ინფორმაცია ფაქტობრივი გარემოებების შესახებ იხილეთ 4.2. ქვეთავში. მცხეთის რაიონული სასამართლოს საქმე №1/254-21

62 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/1690-21

63 სამტრედიის რაიონული სასამართლოს საქმე #1/152-21

ტორია, რამაც წინასასამართლო სხდომაზე ამ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა გამოიწვია.[64]

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში დაზარალებული და ბრალდებული არიან ცოლ-ქმარი. დაზარალებულს ჰყავს შვილი და შვილიშვილი, რომლებთან ერთადაც შეხვდნენ 2021 წლის დადგომას. ცოლმა ქმარს სთხოვა მაღაზიაში ჩასვლა და „კოკა-კოლის" ყიდვა. არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ ქმარს ეწყინა ეს დავალება და დაუწყო ცოლს გინება. გარკვეული პერიოდის შემდეგ მისაღებ ოთახში დარჩნენ დაზარალებული და ბრალდებული, რომელიც ცოლს აგინებდა კოკა-კოლას საყიდლად მაღაზიაში ჩასვლის შეთავაზების გამო.[65]

02:00 საათზე ბრალდებული უკან გაჰყვა ცოლს და შევიდა შვილიშვილის საძინებელ ოთახში. დაზარალებული ელაპარაკებოდა თავის შვილიშვილს, როდესაც ბრალდებულმა წელის მარცხენა მხარეს დანა დაარტყა.[66] ამ საქმეში გამოძიებას არ უცდია ბავშვის მისი ასაკისათვის შესაფერისი გამოკითხვა[67] და საჭიროების შემთხვევაში არასრულწლოვნის დაზარალებულად ცნობა. შვილიშვილი იყო შემთხვევის ერთადერთი თვითმხილველი და მისგან მიღებული ინფორმაცია შესაძლოა ყოფილიყო პირდაპირი მტკიცებულება, რაც სისხლის სამართლის საქმეში უტყუარ მტკიცებულებად ითვლება.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციის 26-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, ძალადობის მსხვერპლად აღიარონ ბავშვები, რომლებიც შეესწრნენ ოჯახში ძალადობას. „ძალადობის მოწმე ბავშვი" არ გულისხმობს მხოლოდ ისეთ შემთხვევებს, როდესაც ბავშვები უშუალოდ ესწრებიან ძალადობის სცენებს, არამედ მოიაზრებს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ბავშვებს ესმით ყვირილი ან ძალადობის ამსახველი სხვა ხმები, ანდა ხანგრძლივად განიცდიან ძალადობის შედეგებს.

ამავე საქმეში გამოძიებამ დაზარალებულის ავადმყოფობის ისტორია პირველად 2021 წლის 20 იანვარს უკანონოდ, მოსამართლის განჩინებისა და დაზარალებულის თანხმობის გარეშე ამოიღო, ხოლო მეორედ, 2021 წლის 18 მარტს ამჯერად სასამართლოს განჩინებით. სასამართლომ 2021 წლის 20 იანვარს ამოღებული სამედიცინო დოკუმენტაცია დაუშვებლად ცნო.

მტკიცებულებების ნაკლებობის და საქმის სასამართლოში განხილვისას ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლების გამოყენების გამო, თბილისის საქალაქო სასამართლომ ამ საქმეზე გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა, რაც მოგვიანებით გამამტყუნებელი განაჩენით იქნა შეცვლილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ.[68] გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს აზრით, სწორედ 18 მარტს ამოღებული სამედიცინო დოკუმენტაციით ისარგებლა ექსპერტმა მისი დასკვნის შედგენისას და გამამტყუნებელი განაჩენი სწორედ ამგვარი კანონიერად ამოღებულ მტკიცებულებას დააფუძნა. გამოძიების მიმდინარეობისას არსებული ამგვარი ხარვეზები მიუთითებს, რომ გამოძიება იყო გულგრილი და დაუდევარი, არ იჩენდა სათანადო გულისხმიერებას, მოეპოვებინა მტკიცებულებები კანონით დადგენილი წესით.

64 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/1690-21

65 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/1690-21

66 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/1690-21

67 მაგალითად, ნახატების გაკეთების გზით ინფორმაციის მიღება, საქმეში საპროცესო წარმომადგენლისა და ფსიქოლოგის ჩართვა

68 თბილისის სააპელაციო სასამართლოსათვის მთავარი მტკიცებულება იყო დაზარალებულის ქალიშვილის საუბარი 112-ის ოპერატორთან, საიდანაც გარკვევით ჩანდა, რომ დაზარალებულმა დაზიანება დანით მიიღო და არა ჭურჭლის ნამსხვრევებზე დაცემის შედეგად, როგორც დაცვის მხარე ამას საქმის სასამართლოში განხილვის მომენტისათვის ამტკიცებდა

გამოძიებამ არასაკმარისი საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარა სამტრედიის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში.[69] აღნიშნულ საქმეში, ბრალდებული საზღვარგარეთ ყოფნისას საქართველოში მყოფ ცოლს სთხოვდა, მუდმივად ჩართული ჰქონოდა ვიდეოზარი, რათა ეკონტროლებინა ცოლის ყველა ნაბიჯი. ბრალდებული ითხოვდა ცოლისაგან თვალებში ჩაეხედა მისთვის და ეთქვა, რომ არ ღალატობდა. 2020 წლის ზაფხულში ბრალდებული დაუკავშირდა დაზარალებულს და უთხრა, რომ მისთვის ცნობილი გახდა ღალატის შესახებ, ამიტომ დაზარალებულისაგან მისი მშობლების სახლის დატოვება მოითხოვა. დაზარალებულმა ბრალდებულის თხოვნა შეასრულა, რამაც ქმარი კიდევ უფრო გააღიზიანა. ბრალდებული დაზარალებულს სოციალური ქსელ „ვოთსაფით“ და სხვადასხვა უცხოური ნომრით უკავშირდებოდა და მოკვლით ემუქრებოდა. უფრო კონკრეტულად, ბრალდებული დაზარალებულს ეუბნებოდა: „მუცელში გაგიყრი დანას, სახეს დაგიმახინჯებ, რომ არავინ შემოგხედოს.“[70]

ქმრისგან მომდინარე მუქარების და შეურაცხყოფის გამო დაზარალებულმა შეცვალა ნომერი, ასევე დეინსტალაცია გაუკეთა „ვოთსაფის“ აპლიკაციას, რის გამოც წაიშალა მუქარის შემცველი შეტყობინებები. უსიამოვნო კომუნიკაციის თავიდან ასაცილებლად დაზარალებულმა დაბლოკა თავისი ქმარი „ფეისბუკზე“.

2021 წლის 10 ივნისს ბრალდებული საქართველოში დაბრუნდა და დაზარალებულის მოთხოვნით, განქორწინდნენ.[71] 2021 წლის 25 ივნისს ბრალდებულმა დაზარალებულის მამას უთხრა: „თუ შენ, შენს შვილს ვერ უვლი, მე მოვუვლი მაგას და გავანადგურებ.“ ამის შემდეგ ბრალდებულმა შეიგინა ყოფილი ცოლის მისამართით.[72] აღნიშნულის შესახებ დაზარალებულმა გაიგო, რის შემდეგაც თვითმკვლელობის მიზნით მარცხენა ხელის მაჯაზე დანა გადაისვა.[73]

2021 წლის 12 ივლისის ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის მასალების მიხედვით და ამბულატორიული სასამართლო-ფსიქოლოგიური კვლევის მონაცემთა მიხედვით, ბრალდებულის ქმედებიდან გამომდინარე, დაზარალებული განიცდიდა, შეურაცხყოფას, დამცირებას და შანტაჟს, რაც გამოიწვევდა მის ტანჯვას.[74]

პროკურატურა ბრალდებულს ედავებოდა ფსიქოლოგიურ ძალადობაში, ცოლის სიცოცხლის მოსპობის მუქარაში, მუქარის და პატივისა და ღირსების გამო ცოლის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანაში. ბრალდებულის დედის ინფორმაციით, ცოლ-ქმარს უშუალო კონტაქტი აღარ ჰქონიათ 2019 წლიდან, როცა ბრალდებული საზღვარგარეთ გაემგზავრა. ბრალდებული დანაშაულებრივ ქმედებებს ჩადიოდა კომპიუტერული სისტემის გამოყენებით - ტელეფონითა და ინტერნეტით. გარდა ამისა, ბრალდებული დაზარალებულს უშუალოდ ან მესამე პირების მეშვეობით უთვლიდა მუქარას ან ამცირებდა.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ დაზარალებულმა და ყველა სხვა მოწმემ წაშალა ბრალდებულის მიერ გაგზავნილი სატელეფონო თუ ინტერნეტ შეტყობინება. შესაბამისად, გამოძიებას, პირველ რიგში, უნდა დაედგინა იმ მობილური ტელეფონის ან კომპიუტერის ადგილსამყოფელი, რომლითაც ბრალდებული დანაშაულებრივ შეტყობინებებს აგზავნიდა. შემდეგ კი ამოეღო და დაეთვალიერებინა შესაბამისი საკომუნიკაციო მოწყობილობა, ვიდრე ბრალდებული ჩანაწერების წაშლას შეძლებდა. სისხლის სამართლის საქმის მასალების

69 სამტრედიის რაიონული სასამართლოს საქმე #1/152-21
70 სამტრედიის რაიონული სასამართლოს საქმე #1/152-21
71 სამტრედიის რაიონული სასამართლოს საქმე #1/152-21
72 სამტრედიის რაიონული სასამართლოს საქმე #1/152-21
73 სამტრედიის რაიონული სასამართლოს საქმე #1/152-21
74 სამტრედიის რაიონული სასამართლოს საქმე #1/152-21

შესწავლიდან არ იკვეთება, რომ სამართალდამცავმა ორგანომ ამ მიმართულებით რაიმე საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებები ჩაატარა. შესაბამისად, ხსენებულ საქმეზე ეფექტიანი და სრულყოფილი გამოძიება არ ჩატარებულა. ასევე, ამ საქმეში ბრალდებულს ბრალი წაუყენეს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1]-115-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით (ოჯახის წევრის თვითმკვლელობამდე მიყვანის ცდა ჩადენილი გენდერული ნიშნით), რომელიც მძიმე დანაშაულს წარმოადგენს და აქედან გამომდინარე შესაძლებელი იყო ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება.

ამ მხრივ, სანიმუშოა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული კიდევ ერთი საქმე, როცა დაზარალებულმა სცადა თავის მოკვლა მისი ქმრისგან მიყენებული ფიზიკური და მორალური ძალადობის გამო. ამ საქმეში გამოძიებამ ჩაატარა ბრალდებულის მამის სახლის ჩხრეკა, რათა აღმოეჩინათ ის კომპიუტერული საშუალება, რომელსაც ბრალდებული დაზარალებულის წინააღმდეგ დანაშაულის ჩასადენად იყენებდა. მიუხედავად იმისა, რომ ის საკომუნიკაციო საშუალება, რომელსაც ბრალდებული იყენებდა ვერ ამოიღეს, გამოძიებამ გადადგა ყველა გონივრული ნაბიჯი გენდერული შეუწყნარებლობის გამო მოტივირებული დანაშაულის საქმეზე მტკიცებულების მოსაპოვებლად.[75]

4.5. მართლმსაჯულების განხორციელებისას დაზარალებულის დახმარების მექანიზმები

სახელმწიფოს მიერ ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის პრევენციისათვის, ოჯახში და ქალის მიმართ ძალადობის შემთხვევებზე სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებასთან ერთად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია როგორც დაზარალებულთა ინფორმირებულობა ქვეყანაში არსებული დაცვისა და დახმარების მექანიზმების შესახებ, ასევე მათი მხარდაჭერა და გაძლიერება სისხლის სამართლის მთელ პროცესში.

გამოკითხული ქალების უმრავლესობის მიერ დადებითადაა შეფასებული სამართალდამცავი ორგანოების მიერ ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირება, რაც დაზარალებულებთან სენსიტიურ მიდგომასა და ზოგიერთ შემთხვევაში, სერვისებზე ინფორმაციის მიწოდებაში გამოიხატებოდა. თუმცა, კვლავ ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც ძალადობის მსხვერპლი ქალები სხვადასხვა გამოწვევაზე უთითებენ.

მაგალითად, ცალკეულ საქმეში ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მსხვერპლთან ურთიერთობისას გამოიკვეთა, რომ სამართალდამცავი პირები ქალებისთვის გაუგებარ, იურიდიულ ტერმინოლოგიას იყენებენ, რაც დაზარალებულებისთვის მიმდინარე პროცესებს ბუნდოვანს ხდის და შესაბამისად, მათ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით სწორი ინფორმაციის მიღება უძნელდებათ. აღსანიშნავია, რომ დაზარალებულებს ამ საქმეებში თავდაპირველად, გამოძიების საწყის ეტაპზე არ ჰქონიათ ინფორმაცია ქვეყანაში არსებულ დაცვისა და დახმარების მექანიზმებზე. გამოკითხულ პირთა ნაწილმა აღნიშნული ინფორმაცია ან თავად მოიპოვა, ან მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც დაზარალებულის სტატუსი მიენიჭათ. დაზარალებულებს ასევე არ ჰქონიათ ინფორმაცია მოძალადეზე ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენების შესაძლებლობაზე.

75 სამტრედიის რაიონული სასამართლოს საქმე #1/152-21

პრობლემად გამოიკვეთა ოჯახში ძალადობის ერთ-ერთ შემთხვევაზე სამართალდამცავი უწყების მიერ პასუხისმგებლობის მსხვერპლზე გადატანის მცდელობა,[76] ასევე, დაზარალებულის მიმართ არასენსიტიური მიდგომის გამოყენება.[77] დაზარალებული ქალების უმრავლესობა ასევე უთითებს, რომ მათ საქმეში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი ჩართული არ ყოფილა. ხოლო ისეთ შემთხვევაში, სადაც მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი კონკრეტულ საქმეზე მუშაობდა, დაზარალებულები აღნიშნავენ, რომ მათი როლი სამართალწარმოების პროცესში დიდი იყო.

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მათი სამუშაო გრაფიკი საკმაოდ დატვირთულია.[78] ასევე, მათი რაოდენობიდან გამომდინარე, ძირითადად რეგიონის ცენტრში არიან დასაქმებული და სხვადასხვა რაიონებში აქტიურ ჩართულობას ვერ ახერხებენ. გარდა ამისა, ასევე აღნიშნავენ, რომ ყველა რეგიონს/რაიონს განსხვავებული სპეციფიკა აქვს და დაზარალებულებთან კომუნიკაციისას აღნიშნული საჭიროებების გათვალისწინება მნიშვნელოვანია.

როგორც კოორდინატორები აღნიშნავენ, არც ერთ დოკუმენტში არ არის გაწერილი, რა შემთხვევაში ერთვება პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი და რა შემთხვევაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი. აღნიშნული პრაქტიკით რეგულირდება და რაიმე კონკრეტული წესი არ არსებობს. გარდა ამისა, რეკომენდაციის სახით უთითებენ, რომ საქმეში მათი დროული ჩართვა გამოძიების დაწყებისთანავე უფრო ეფექტური და აუცილებელია.

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები ასევე პრობლემად ასახელებენ GPS მონიტორინგის სისტემის პრაქტიკაში გამოყენების საკითხსაც. მათი განცხადებით, დაზარალებულები GPS მონიტორინგის გამოყენებაზე უარს გავრცელებული მითების გამო ამბობენ. ასევე, ხშირ შემთხვევაში უარის თქმის მიზეზი ტექნიკის დაზიანების შიშიც ხდება.[79]

76 ბენეფიციარი უთითებს შემთხვევაზე, როდესაც პოლიციელმა შემაკავებელი ორდერის გამოცემისას გააფრთხილა, რომ თუ მოძალადე შემაკავებელს დაარღვევდა, დაზარალებული მას „ციხეში გაუშვებდა."

77 ერთ-ერთ რესპოდენტს სამართალდამცავ უწყებასთან ურთიერთობისას ჰქონდა განცდა, რომ მისი არ სჯეროდათ. მეორე რესპოდენტი კი იხსენებს შემთხვევას, როდესაც ერთ-ერთ პოლიციის განყოფილებაში მივიდა, თუმცა არ მოუსმინეს და სხვა პოლიციის განყოფილებაში გადაამისამართეს, რადგან საქმე მათი ქვემდებარე არ იყო.

78 ათ მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ერთვებიან არა მხოლოდ ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე, არამედ სხვა დანაშაულებზეც.

79 შსს-ს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინფორმაციით, დაზარალებულმა უარი იმის გამო თქვა, რომ ნივთის დაზიანების შეეშინდა. თუმცა, როგორც მან თავადვე აღნიშნა, იმ შემთხვევაში თუ ტექნიკა დაზიანდება, დაზარალებულს ფინანსური ვალდებულება არ ეკისრება. პოლიციელებმა სახალხო დამცველის წარმომადგენლებს შეხვედრისას საპირისპირო ინფორმაცია მიაწოდეს და აღნიშნეს, რომ GPS მონიტორინგის გამოყენებისას დაზარალებულს ასევე აფრთხილებენ, რომ ნივთის დაზიანების შემთხვევაში მისი ანაზღაურება თავად დაზარალებულს ეკისრება.

5. ხარვეზები სასამართლო განხილვისას

5.1. სასამართლოს მიერ გენდერის ნიშნის განმარტება და დასაბუთება

საანგარიშო პერიოდში გენერალურმა პროკურატურამ ქმედება გენდერის ნიშნით 6 შემთხვევაში დააკვალიფიცირა. აქედან, პირველი ინსტანციის სასამართლოებმა ოთხ საქმეზე დაადგინეს გამამტყუნებელი განაჩენი გენდერის ნიშნით ჩადენილ ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეებში, ხოლო ორ საქმეში - არა. გასული წლების მსგავსად, საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემურია საკითხი იმასთან დაკავშირებით, მიეკუთვნება თუ არა ქალის მიმართ ეჭვიანობის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაული გენდერის ნიშნით ჩადენილ დანაშაულს. ამ საკითხზე სასამართლო პრაქტიკა კვლავ არაერთგვაროვანია.

მისასალმებელია რუსთავის საქალაქო, სენაკისა და გურჯაანის რაიონული სასამართლოების მიერ გაკეთებული განმარტებები დანაშაულის გენდერის ნიშნით ჩადენასთან დაკავშირებით. აღნიშნულ განაჩენებში დეტალურადაა განმარტებული რას ნიშნავს „გენდერის ნიშანი“ და მოსამართლეები საერთაშორისო დოკუმენტებისა და განმარტებების შესაბამისად ასაბუთებენ დანაშაულის გენდერის მოტივით ჩადენას.

თუმცა, საანგარიშო პერიოდში ასევე გამოიკვეთა შემთხვევები, სადაც მიუხედავად იმისა, რომ ქმედების გენდერის ნიშნით ჩადენა იკვეთებოდა, სასამართლომ გენდერის ნიშანზე ან საერთოდ არ იმსჯელა, ან გენდერის ნიშნის გამოყენება დაუსაბუთებელი იყო. სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 2 მარტის განაჩენის[80] სამოტივაციო ნაწილში მხოლოდ ისაა აღნიშნული, რომ დანაშაული გენდერული ნიშნითაა ჩადენილი.

განაჩენის სამოტივაციო ნაწილში მოსამართლეს ეკისრება სისხლის სამართლის საქმის როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი გარემოებების დასაბუთების ვალდებულება. მართალია, საქმეში არსებობდა დამაჯერებელი მტკიცებულებები, რომ დანაშაული გენდერული ნიშნით იყო ჩადენილი, მაგრამ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მოსამართლე არ უთითებს, კონკრეტულად რომელმა მტკიცებულებებმა მიიყვანა იმგვარ დასკვნამდე, რომ ბრალდებულმა თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის დანაშაული ჩაიდინა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოსამართლეს ასევე არ განუმარტავს რაში გამოიხატებოდა გენდერული ნიშანი. შესაბამისად, მოსამართლემ არ გაითვალისწინა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილის კრიტერიუმები.

ორ საქმეში თბილისის საქალაქო სასამართლომ ვერ დაინახა გენდერის ნიშანი და ბრალდებული ამ ნაწილში გაამართლა. აქედან ერთი საქმე ეხებოდა ქმრის მიერ ცოლის მკვლელობას.[81] 2021 წლის 18 მარტის პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა განზრახ მკვლელობა გენდერის ნიშნით ოჯახის წევრის მიმართ. აღნიშნული საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, თბილისში მეუღლესთან მცხოვრებმა ბრალდებულმა მიიჩნია, რომ მასთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ დაზარალებულს, როგორც ქალს, არ ჰქონდა საკუთარი პირადი ცხოვრების განკარგვისა და მასთან განქორწინების უფლება, რის გამოც გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით მისი მოკვლა განიზრახა და თავის არეში მკვრივი ბლაგვი საგნით სასიკვდილო დაზიანებები მიაყენა. ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული გათ-

80 სამტრედიის რაიონული სასამართლოს საქმე #1/152-21

81 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/1251-22

ვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი კვალიფიკაციით 11[1]-109-2დ[1], ვ (ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობა ჩადენილი გენდერის ნიშნით).[82]

საქმის არსებითი განხილვისას ბრალდებულმა აღიარა ცოლის მოკვლა, თუმცა უარყო რომ ეს ქმედება ჩაიდინა გენდერის ნიშნით. ბრალდებულის განმარტებით, 2020 წელს შეეძინათ შვილი, ხოლო 2021 წლის ზაფხულში ბრალდებული და დაზარალებული ერთად არ იმყოფებოდნენ, თუმცა შემდგომში მათ გააგრძელეს თანაცხოვრება.[83]

2021 წლის 5 ნოემბერს ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის შელაპარაკება დაზარალებულის სატელეფონო ზარის გამო მოხდა. დაზარალებულმა ბრალდებულს განუცხადა, რომ როცა ერთად არ თანაცხოვრობდნენ, ყოფილ ქმართან ჰქონდა ინტიმური ურთიერთობა, ამაზე ბრალდებული გაღიზიანდა და დაზარალებულს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ბრალდებულის თქმით, დაზარალებული ამბობდა, რომ ბავშვი სხვა კაცისაგან ჰყავდა, რამაც გააღიზიანა, ვეღარ მოზომა და ლითონის საგანი დაზარალებულს თავში ჩაარტყა.[84]

თბილისის საქალაქო სასამართლოში ბრალდებულმა პირდაპირი დაკითხვისას განაცხადა: „ბავშვზე ამომდიოდა მზე და მთვარე, ჰოდა ისეთი რაღაც მითხრა, რომ აი, მაგის მერე ვერ განვსაზღვრე. ადვოკატის კითხვაზე: „აი, მოტივი ეს იყო, რომ ბავშვი შენი არ არისო და **გღალატობდა.“** ბრალდებული პასუხობს: **„კი ღალატიც უფრო აქტიურად**, იმ დონეზე გაღიზიანებული ვიყავი, რომ ისიც დაემატა.“[85]

თბილისის საქალაქო სასამართლოს განმარტებით: „მოცემულ შემთხვევაში ბრალდებულის ჩვენებით, რომელმაც დაადასტურა, რომ არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლესთან ეჭვიანობის ნიადაგზე მოუვიდა კამათი, რა დროსაც მისთვის ცნობილი გახდა მისი ღალატის შესახებ. აღნიშნულის და იმის გამო, რომ ბავშვთან დაკავშირებით უთხრა, რომ მისი შვილი არ იყო, თავის არეში ლითონის ნაჭერი ჩაარტყა ერთხელ, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი გარდაიცვალა.“[86]

„მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო ეთანხმება დაცვის მხარეს, რომელიც სადავოდ ხდის და ბრალდების მხარეს არ ეთანხმება მხოლოდ გენდერის ნიშანით კვალიფიკაციის ნაწილში და აღნიშნავს, რომ ბრალდებულმა აღნიშნული ქმედება ჩაიდინა არა გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, არამედ სიტყვიერი შელაპარაკებისას, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა მეუღლის ღალატის შესახებ და ითხოვს ბრალდებულის ამ ნაწილში გამართლებას.“[87]

„სასამართლო ეთანხმება დაცვის მხარის აღნიშნულ პოზიციას და განმარტავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს მკვლელობის ჩადენა გენდერის ნიშნით. ამ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა დამძიმებულია მსხვერპლის გენდერული კუთვნილებით და შესაბამისად, აუცილებელია დადგინდეს, რომ ამ მკვლელობის დომინანტი მოტივი სწორედ მსხვერპლის გენდერული კუთვნილება იყო.“[88] სასამართლო ასევე უთითებდა, რომ ბრალდებულის ჩვენების მიხედვით, მკვლელობის მოტივი იყო არა გენდერული კუთვნილება, არა-

82 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/1251-22
83 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/1251-22
84 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/1251-22
85 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/1251-22
86 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/1251-22
87 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/1251-22
88 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/1251-22

მედ შურისძიება ღალატის გამო.[89] სასამართლო მსჯელობდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არსებობდა სხვადასხვა მოწმის ჩვენებები, რომლებიც უთითებდნენ წინარე შესაძლო ძალადობისა და „თამამი" ჩაცმულობის გამო ბრალდებულის მიერ დაზარალებულისთვის შენიშვნის მიცემის ფაქტებზე, აღნიშნული არ იყო საკმარისი იმის სამტკიცებლად, რომ ბრალდებულმა განსახილველი დანაშაული მესაკუთრული ან ქალის სოციალურ უფლებებთან სტერეოტიპული დამოკიდებულების გამო ჩაიდინა.[90]

თბილისის საქალაქო სასამართლოს მსჯელობა წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან. სასამართლო ერთი მხრივ, გენდერის ნიშნით ჩადენილ დანაშაულად მიიჩნევს ქალის მიმართ მესაკუთრულ დამოკიდებულებას, მეორე მხრივ, გამორიცხავს იმას, რომ ცოლის ღალატის გამო შურისძიების მოტივით ჩადენილი მკვლელობა არ არის გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაული. ღალატის გამო ქმრის მიერ ქალის მოკვლა მიუთითებს გენდერულ მოტივზე. ვინაიდან ქმარი ქალს სჯის ღალატის გამო სწორედ იმიტომ, რომ ქალი თავის საკუთრებად მიაჩნია.[91]

სამწუხაროდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ, სრულიად დაუსაბუთებლად, ერთმანეთისაგან გამიჯნა ეჭვიანობის, შურისძიების მოტივით ჩადენილი მკვლელობა გენდერის ნიშნით ჩადენილი მკვლელობისაგან და საბოლოოდ, ცოლის მიმართ ეჭვიანობა, ღალატისათვის შურისძიების მოტივით ჩადენილი მკვლელობა გენდერის ნიშნით კვალიფიკაციის გარეშე დატოვა. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ბრალდებულის ჩვენება, რაც მოიპოვეს არა ჯვარედინი, არამედ პირდაპირი დაკითხვის შედეგად, პროკურატურამ არ გამოიყენა გენდერის ნიშნით წარდგენილი ბრალის გასამყარებლად.[92]

აღსანიშნავია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლოსაგან განსხვავებული სამართლებრივი დასაბუთება შემოგვთავაზა მსჯავრდებულის ქმედებაში გენდერის მოტივის არ არსებობის დასამტკიცებლად. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის მიხედვით, ბრალდების მხარეს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურებული მტკიცებულებები ქმედების გენდერის ნიშნით ჩადენასთან დაკავშირებით არ წარმოუდგენია. ასევე, ბრალდების მხარეს არ მიუთითებია, რომ ბრალდებულმა მეუღლე მოკლა ჩაცმულობის, თამამი ხასიათის ანდა ბავშვის აღზრდის საკითხზე უთანხმოების ანდა ამ ყველაფრის ერთად - გამო.[93] პალატის განმარტებით, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მოწმის ჩვენებები ირიბ მტკიცებულებას წარმოადგენს.

პირველ რიგში, მისასალმებელია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოსაგან განსხვავებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამორიცხა, რომ ეჭვიანობის ან ღალატისათვის ცოლზე შურისძიება შესაძლოა იყო გენდერული ნიშნით დანაშაული. ამის მიუხედავად, სამწუხაროა, რომ სააპელაციო სასამართლომ ამ კონტექსტში შეფასების მიღმა დატოვა ბრალდებულის განცხადებები, რომ მან ცოლი სწორედ ეჭვიანობის ან პირველ ქმართან ღალატისათვის შურისძიების გამო მოკლა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა კიდევ ერთი საქმე, როცა ეჭვიანობის გამო ქმარმა აწამა ცოლი, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი თვითმკვლელების ცდამდე მივიდა. თბილისის

89 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/1251-22

90 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/1251-22

91 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/1251-22

92 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/1251-22

93 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/1251-22

საქალაქო სასამართლომ არ ჩათვალა აღნიშნული დანაშაული გენდერის ნიშნით ჩადენილად და ამის გამო სასამართლომ ქმედების კვალიფიკაცია შეცვალა სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-115 მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტიდან (ოჯახის წევრის გენდერული ნიშნით თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა) სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-115 მუხლის პირველი ნაწილით (ოჯახის წევრის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა).[94]

აღნიშნულ საქმეში ბრალდებული და დაზარალებული 2020 წლიდან თანაცხოვრობდნენ, რა დროსაც ბრალდებული ეჭვიანობდა დაზარალებულზე და მამრობითი სქესის მოსწავლეების ყოლას უკრძალავდა. დაზარალებულის მოსწავლე უნდა ყოფილიყო ქალი ან მცირეწლოვანი ბიჭები. ამასთან, ბრალდებული დაზარალებულს უმოწმებდა მიმოწერას.[95]

2021 წლის 19 მარტს ბრალდებული დაზარალებულისაგან ითხოვდა იმის აღიარებას, თუ რომელ კაცთან ღალატობდა. 5-7 წუთის განმავლობაში ბრალდებული დაზარალებულისაგან დაჟინებით ითხოვდა სიმართლის თქმას. ბრალდებული იმეორებდა, რომ თუ დაზარალებული ბრალდებულს არ ეტყოდა, ვისთან ჰქონდა რომანი, მაშინ ბრალდებული დაზარალებულს სხვანაირად დაელაპარაკებოდა. დაზარალებულს არ უნდოდა ბრალდებულთან კამათი, ამიტომ სახლიდან წასვლა გადაწყვიტა. თუმცა ბრალდებულმა ძალის გამოყენებით არ მისცა სადარბაზოში გასვლის შესაძლებლობა.[96] ბრალდებულმა ჩაკეტა ბინაში შესასვლელი კარი, აიღო ხელკეტი და დაზარალებულზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მიზნით ახდენდა ხელკეტის დარტყმის იმიტაციას.[97]

საქმის მასალების მიხედვით, ბრალდებული რამდენჯერმე შეეცადა დაზარალებულის დახრჩობას, მათ შორის ბალიშის სახეზე დაფარებით, მაკრატლის ხელზე მიბჯენით, ყელში ხელის მოჭერითა და წყლით სავსე ონკანში თავის ჩაყოფით (5 ეპიზოდი). გარდა ამისა, ბრალდებული დაზარალებულზე ფიზიკურად ძალადობდა, რის შედეგადაც დაზარალებულს სილურჯეებიც გაუჩნდა. ასევე, ემუქრებოდა, რომ თუ სიმართლეს არ ეტყოდა, კისერს მოტეხავდა. როგორც საქმის შესწავლისას ირკვევა, დაზარალებულმა განცდილი ძალადობის გამო თვითმკვლელობა სცადა, თუმცა ვერ მოახერხა, რადგან ბრალდებულმაც ხელი შეუშალა.[98]

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2022 წლის 25 იანვრის განაჩენით ბრალდებული დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 11^1 144^1 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის (წამება) ჩადენაში და შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით. ხოლო დამატებით სასჯელის სახით 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობის ჯარიმა. სასამართლომ ბრალდებულს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1 115 მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით (ოჯახის წევრის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა გენდერის ნიშნით) წარდგენილი ბრალი გადაუკვალიფიცირა სისხლის სამართლის კოდექსის 11^1 115 მუხლის პირველი ნაწილით (ოჯახის წევრის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა) და დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა სამი წლის ვადით. საბოლოოდ, წამების დანაშაულისათვის დანიშნულმა სასჯელმა, როგორც უფრო მკაცრმა, შთანთქა სხვა დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელები და მსჯავრდებულს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით, ასევე დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.[99]

94 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/3595-21
95 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/3595-21
96 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/3595-21
97 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/3595-21
98 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/3595-21
99 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/3595-21

ამ განაჩენში პრობლემურია ის გარემოება, რომ სასამართლომ დანაშაულის ჩადენის გენდერული მოტივი ვერ დაინახა. განაჩენში აღნიშნულია: „რაც შეეხება აღნიშნული დანაშაულების გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ჩადენას, აღნიშნული სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით უტყუარად ვერ დადასტურდა. კერძოდ, არც დაზარალებულს და არც მოწმეებს არ უთქვამთ, რომ ბრალდებული უკანონო ქმედებების ჩადენისას ცდილობდა მისი, როგორც მამაკაცის უპირატესი როლის წარმოჩენას ან დაზარალებულის მიმართ ჰქონდა მესაკუთრული დამოკიდებულება. ისინი საუბრობენ მხოლოდ ეჭვიანობის მოტივზე, რის გამოც ბრალდებული დაზარალებულს უკრძალავდა მამრობითი სქესის მეგობრებთან ურთიერთობას, არ აძლევდა ბიჭი მოსწავლეების აყვანის და სიმღერის უფლებას. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს საკმარისი საფუძველი გენდერული დისკრიმინაციის ნიშნით ბრალდებულის პასუხისმგებლობის დამძიმებისათვის."[100]

ეს არის შემთხვევა, როდესაც მოსამართლე ქალის მიმართ ეჭვიანობას არ მიიჩნევს გენდერული მოტივით შეუწყნარებლობად. ასევე მოსამართლე ვერ ასაბუთებს, რატომ არ მიუთითებს მესაკუთრულ დამოკიდებულებაზე ის ფაქტი, რომ ბრალდებული დაზარალებულს კაც მეგობრებთან ურთიერთობასა და მამრობითი სქესის მოსწავლეების აყვანას უკრძალავდა. ამგვარი აკრძალვა სწორედ მესაკუთრული დამოკიდებულებაზე მიუთითებს, როცა კაცს ქალი თავისი კუთვნილებად მიაჩნია და საკუთარ თავს უფლებას აძლევს, პარტნიორ ქალს აუკრძალოს მამრობითი სქესის წარმომადგენლებთან საქმიანი ურთიერთობაც კი. ეჭვიანობის მოტივით პარტნიორი ქალის პროფესიულ და საქმიან სფეროში იმ დოზით ჩარევა, რომლის მიხედვითაც, კაცი განსაზღვრავს თავისი პარტნიორი ქალის მოსწავლეების სქესს, იმავდროულად, მიუთითებს კაცის დომინანტური როლის დემონსტრირებაზე. მეტიც, დაზარალებულის წამება განხორციელდა სხვა კაცთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით. ხოლო დაზარალებულმა გენდერული ნიშნით მოტივირებული წამების გამო სცადა თვითმკვლელობა.[101]

განხილული საქმეები კვლავაც მეტყველებს გენდერის ცნების არაერთგვაროვან გაგებაზე სასამართლო პრაქტიკაში. ცალკეულ შემთხვევაში ეჭვიანობას და მის საფუძველზე ქალის ცხოვრების კონტროლს მოსამართლეების ერთი ნაწილი მიიჩნევს გენდერული მოტივით ჩადენილ დანაშაულად, ხოლო სხვა მოსამართლეები - არა. მნიშვნელოვანია უზენაესმა სასამართლომ გენდერის ნიშნის ცნების განმარტების გზით აღმოფხვრას არაერთგვაროვანი პრაქტიკა.

5.2. სასამართლოს მიერ 53[1] მუხლის გამოყენება და სასჯელის დამძიმება გენდერის ნიშნით ჩადენილ დანაშაულზე

კვლავ პრობლემად რჩება სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის გამოყენება. ამ მუხლის პირველი ნაწილით პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს გენდერული შეუწყნარებლობის მოტივით სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ნებისმიერი დანაშაულის ჩადენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გენდერული შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელი სულ მცირე, ერთი წლით უნდა აღემატებოდეს ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელის მინიმალურ ზომას. სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის მეოთხე ნაწილით, გენდერული შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელი ერთი წლით არ მკაცრდება, თუკი გენდერული ნიშანი სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლისათვის დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს.

100 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/3595-21

101 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/3595-21

შესაბამისად, სანქციის მინიმალურ ზომასთან შედარებით ერთი წლით არ გამკაცრდება სასჯელი, როდესაც პროკურატურა სასამართლოში საქმეს წარმართავს იმგვარი ბრალის დადგენილებით, რომლითაც გენდერის ნიშანი მაკვალიფიცირებელი გარემოებაა. აღსანიშნავია, რომ თუ ბრალდების შესახებ დადგენილებაში გენდერის ნიშანი მაკვალიფიცირებელ გარემოებად არაა მითითებული, მაგრამ სასამართლო დაადგენს გენდერული მოტივით დანაშაულის ჩადენის ფაქტს, მოსამართლე თავად ვერ დაამძიმებს ბრალს და ქმედებას ვერ გადააკვალიფიცირებს. სამაგიეროდ, მოსამართლეს ვალდებულია, სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის გამოყენებით სასჯელის მინიმალურ ზომაზე ერთი წლით მეტი ხანგრძლივობის თავისუფლების აღკვეთა გამოიყენოს.

ამ კუთხით აღსანიშნავია სიღნაღის რაიონული სასამართლოს განაჩენი, როცა ბრალდებულმა ნათესავი ქალის მოკვლა მის შვილზე განაწყენების გამო სცადა. სიღნაღის სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (მკვლელობის მცდელობა) ჩადენაში. ამ საქმეში იკვეთებოდა დანაშაულის ჩადენის გენდერული მოტივი. სასამართლომ უტყუარად დაადგინა ის გარემოება, რომ ბრალდებული დაზარალებულს თავს დაესხა მის შვილზე განაწყენებისა და შურისძიების მიზნით.[102] პატრიარქალურ საზოგადოებაში ქალი განიხილება კაცის კუთვნილებად და შესაბამისად, ქალის მკვლელობის მცდელობა, რაც ოჯახის წევრ კაცზე ანგარიშსწორებისკენ არის მიმართული, შეიცავს ფემიციდის ნიშნებს.

ეს გარემოება აძლევდა სასამართლოს შესაძლებლობას, სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის გამოყენებით გენდერი მიეჩნია პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად და სანქციის მინიმალურ ზომასთან შედარებით ერთი წლით დაემძიმებინა სასჯელი. სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას 7-დან 15 წლამდე. სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ მსჯავრდებულს შეუფარდა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, თუმცა ამის მიზეზი იყო არა ის, რომ მოსამართლემ დაადგინა დანაშაულში გენდერული მოტივის არსებობა, არამედ ის, რომ ბრალდებულმა დანაშაულის ჩასადენად გამოიყენა ცივი იარაღი.[103] სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის მეორე ნაწილით იარაღის (მათ შორის ცივი იარაღის) გამოყენებით დანაშაულის ჩადენა ისევე წარმოადგენს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას, როგორც გენდერული შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული. ამ საქმეში ვერც პროკურატურამ და ვერც სასამართლომ გენდერული მოტივი ვერ დაინახეს, მაშინ როცა ეს მოტივი აშკარად იკვეთებოდა თავად სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან.

5.3. სასამართლოს მხრიდან რისკების სათანადოდ შეფასების პრობლემა

საანგარიშო პერიოდში, წინა წლის მსგავსად, პრობლემური იყო ქალის მიმართ ძალადობისა და შემაკავებელი ორდერის დარღვევის საქმეში სასამართლოს მიერ პატიმრობაზე უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, რის შედეგადაც ბრალდებულს მიეცა შესაძლებლობა, გაეგრძელებინა დანაშაულებრივი საქმიანობა და დაზარალებულის მიმართ უფრო მძიმე დანაშაული - მკვლელობის მცდელობა ჩაედინა. ამასთან, სასამართლოები ხანმოკლე პატიმრობის შემდეგ დაზარალებულთან საცხოვრებლად აბრუნებდნენ მოძალადეს იმ პირობებში, როდესაც ბრალდებულს კვლავაც ჰქონდა აგრესია დაზარალებულის მიმართ.

102 სიღნაღის რაიონული სასამართლოს საქმე №1/60-21

103 სიღნაღის რაიონული სასამართლოს საქმე №1/60-21

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2022 წლის 27 აპრილის განაჩენით ბრალდებული დამნაშავედ ცნეს განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობის მცდელობაში და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 17 წლის ვადით.[104]

აღნიშნული საქმე ნათელი მაგალითია იმისა, რომ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისა და რისკების არასწორი შეფასების გამო, სასამართლო ხელისუფლებამ ქალის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობის მცდელობის თავიდან აცილება ვერ მოახერხა. ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განჩინებიდან ირკვევა, რომ მკვლელობის მცდელობამდე ორი თვით ადრე ბრალდებული დაკავებული იყო იმავე დაზარალებულის მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 381[1]-ე[105] და 126-ე[106] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. პროკურატურა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა, თუმცა სასამართლომ შეუფარდა გირაო 5000 ლარის ოდენობით.[107]

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის თანახმად, პატიმრობა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა ბრალდებულის მიმალვის, მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისა და მტკიცებულებების განადგურებისათვის ხელის შეშლისა და ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად.

სასამართლომ დანაშაულებრივი ქმედების გაგრძელების საფრთხის შეფასებისას, მხედველობაში არ მიიღო სადავო დანაშაულებრივი ქმედების ფაქტობრივი გარემოებები და სასამართლო განჩინებაში აღნიშნა, რომ ვინაიდან ბრალდებული არ არის ნასამართლევი, მისი მხრიდან ჩადენილია ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული, რაზეც მსუბუქი სასჯელის გამოყენებაც შესაძლებელია, მას გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და მჭიდროდ არის დაკავშირებული სამართალწარმოების ქვეყანასთან. სასამართლო თვლის, რომ პატიმრობის გამოყენება დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, შესაძლო ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის სიმძიმის, ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლის გათვალისწინებით, არათანაზომიერია.

ბრალდებულმა დაზარალებულის მიმართ გამოცემული შემაკავებელი ორდერის მოთხოვნები და ვალდებულებები მათ შორის არსებული ფინანსური დავის გამო დაარღვია. აღსანიშნავია, რომ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მომენტში ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის აღნიშნული კონფლიქტი არ იყო ამოწურული. შესაბამისად, ის გარემოება, რომ ბრალდებულისთვის შემაკავებელი ორდერის გამოწერა დამაბრკოლებელი ფაქტორი არ აღმოჩნდა, მაინც მიუახლოვდა დაზარალებულს და დანაშაულებრივი ქმედება ჩაიდინა, იძლეოდა ამ ქმედების გამეორების სრულიად რეალურ საფრთხეს. საქმის ფაქტობრივი გარემოებები მიუთითებდა დანაშაულებრივი ქმედებების განმეორების მაღალ რისკებზე, რომლის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალება ბრალდებულის იზოლაცია- მისი პატიმრობაში დატოვება იყო.

ამის მიუხედავად, სასამართლომ ბრალდებულის მიმართ გამოიყენა გირაო და გათავისუფლებიდან ზუსტად ორი თვის შემდეგ, ბრალდებულმა იმავე დაზარალებულის მიმართ უფრო მძიმე დანაშაული - განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობის მცდელობა ჩაიდინა. აღნიშნული გარემოება კარგად მეტყველებს სასამართლოების კრიტიკულად მნიშვნელოვან როლზე

104 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4189-21

105 შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა

106 ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი

107 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4189-21

- აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას, ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით, მხედველობაში მიიღონ ფემიციდის ჩადენის რისკები.

საანგარიშო პერიოდში გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ, ხანმოკლე პატიმრობის შემდეგ, აღკვეთის ღონისძიების სახედ გირაო შეუფარდა ბრალდებულს, რომელმაც მეგობარი კაცის ყოლის გამო, დედას სამი ჭრილობა მიაყენა.[108] 2021 წლის 18 თებერვალს ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე ლაგოდეხის მაგისტრატმა მოსამართლემ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოიყენა პატიმრობა. 2021 წლის 24 მარტს გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ წინასასამართლო სხდომაზე ბრალდებულს შეუცვალა აღკვეთის ღონისძიება და შეუფარდა გირაო. ამის საფუძვლად სასამართლომ მიუთითა ის, რომ ბრალდებულს ჰყავდა ორსული მეუღლე, დაზარალებულთან იყო შერიგებული და დედა ითხოვდა მის მიმართ შეღავათის გამოყენებას. სასამართლოს თქმით, ბრალდებული ხასიათდებოდა დადებითად და პროკურატურას უკვე შეგროვებული ჰქონდა მტკიცებულებები და შესაბამისად, აღარ არსებობდა მისი განადგურების საფრთხე.[109]

2021 წლის 13 აპრილს გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ დამნაშავედ ცნო ბრალდებული წარდგენილ ბრალდებაში და შეუფარდა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 პუნქტით შემცირდა ერთი მეოთხედით და მსჯავრდებულს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის და 3 თვის ვადით, რაც მთლიანად ჩაეთვალა პირობითად. ეს განაჩენი ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 2 სექტემბრის განაჩენით და უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 23 თებერვლის განჩინებით.[110]

აღნიშნულ საქმეში უზენაესმა სასამართლომ მსჯავრდებულის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენება შემდეგნაირად დაასაბუთა: „მსჯავრდებული აღიარებს და ინანიებს ბრალად წარდგენილი ქმედების ჩადენას, ითანამშრომლა გამოძიებასთან და უდავოდ ცნო ბრალდების მხარის მტკიცებულებები, რითაც ხელი შეუწყო საქმეზე სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას; ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის თანახმად, არასრულწლოვანს აქვს ძლიერი მოტივაცია არ ჰქონდეს კონფლიქტი, ვინაიდან ჰყავს მეუღლე და მოუთმენლად ელოდება შვილის დაბადებას, ოჯახის მიმართ აქვს პასუხისმგებლობა, მსჯავრდებულს აქვს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე მწყემსად, ხოლო სამშენებლო სამუშაოებზე - მუშად მუშაობის გამოცდილება, დაკავებამდე მუშაობდა თურქეთში სეზონურ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოზე, რაც მეტყველებს მის შრომისმოყვარეობასა და ოჯახის წევრების მიმართ პასუხისმგებლობაზე; აქვს დადებითი კავშირი, როგორც თანატოლებთან, ასევე მასზე უფროს თანასოფლელებთან, რომელთა შორის არ არიან დელიკვენტური ქცევის კანონთან კონფლიქტში მყოფი პირები. მსჯავრდებული არ გამოირჩევა კონფლიქტურობით, აგრესიული ქცევის მანერით, არ მოიხმარს მავნე ნივთიერებებს, არ არის დაინტერესებული აზარტული თამაშებით, არ გამოვლინდა ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, მას აქვს სტრესთან გამკლავების უნარი, აცნობიერებს პრევენციის საჭიროებას სამომავლოდ დანაშაულებრივ ქცევასთან მიმართებით, აქვს სინანულის განცდა ჩადენილი.“[111]

მეორე მხრივ, ინდივიდუალურ ანგარიშში ასევე აღნიშნულია: „არასრულწლოვანის შეფასებისას გამოვლინდა, რომ იგი ხასიათდება იმპულსურობით, ადვილად კარგავს წონასწორობას კრიტიკულ სიტუაციაში, რა დროსაც უჭირს ქცევისა და ემოციების მართვა. აღნიშნულს ადასტურებს

108 გურჯაანის რაიონული სასამართლოს საქმე #1/47-21

109 გურჯაანის რაიონული სასამართლოს საქმე #1/47-21

110 გურჯაანის რაიონული სასამართლოს საქმე #1/47-21

111 გურჯაანის რაიონული სასამართლოს საქმე #1/47-21

მომხდარი სამართალდარღვევა, რომელიც ბადებს ეჭვს არასრულწლოვანს აქვს პრობლემის ძალადობრივი გადაჭრის გამოცდილებაც...“[112]

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სატელეფონო ზარის შემდეგ, რომლითაც ბრალდებულმა დედის ინტიმური ცხოვრების შესახებ შეიტყო, დატოვა მისი სეზონური სამუშაოს შესრულების ქვეყანა, დაბრუნდა საქართველოში და დედის მიმართ ჩაიდინა დანაშაული. ამგვარად, განჩინებაში ჩამოთვლილი ბრალდებულის თვისებები არ აღმოჩნდა საკმარისი ბარიერი საიმისოდ, რომ მსჯავრდებულს გენდერული ნიშნით მოტივირებული დანაშაული არ ჩაედინა.[113]

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბრალდებული ნანობდა იმას, რომ თავად კანონსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა. თუმცა, იმ პერიოდში შედგენილ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში, როდესაც ბრალდებული უკვე თავისუფალი იყო, დედის ქცევას კვლავ კიცხავდა და ოჯახის ღირსების შელახვაში ადანაშაულებდა. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში აღნიშნულია: „არასრულწლოვანი აღიარებს ჩადენილ ქმედებას და იღებს პასუხისმგებლობას მომხდარზე. მიზეზად მიიჩნევს დედის ტყუილს, მისი მხრიდან მეუღლის ღალატს, რის გამოც იგი დამამცირებელ და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში აღმოჩნდა თანასოფლელთა თვალში. მიუხედავად იმის, რომ დედის საქციელში ვერ ხედავს გამართლებას და მის მიმართ ნაკლებ ემპათიურია, იგი წუხილს გამოთქვამს კანონთან კონფლიქტის გამო ...“ [114]

ამგვარად, ერთთვიანი პატიმრობის და გირაოს შეფარდების პირობებში, ბრალდებული არ მიიჩნევდა, რომ დედას ჰქონდა მისი სექსუალური პარტნიორის თავისუფლად არჩევის უფლება და ბრალდებულს არ ჰქონდა დედის პირად ცხოვრებაში ჩარევის უფლება, „ოჯახის ღირსების“ დაცვის სახელით. ამ გარემოებაზე მეტყველებს დაცვის მხარის მიერ წარდგენილი საკასაციო საჩივარიც, რომლითაც დაცვის მხარე აღიარებდა იმას, რომ სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება იყო ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ, თუმცა უარყოფდა გენდერული ნიშნით ქმედების კვალიფიკაციას. დაცვის მხარის საკასაციო საჩივარში აღნიშნულია: „კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მსჯავრდება სსკ-ის 11[1]-117 მუხლის მეხუთე ნაწილის „დ[1]“ ქვეპუნქტით არის **პროპაგანდა აღვირახსნილი ცხოვრებისა** იმისა, რომ როგორც მამაკაცს, ისე დაქორწინებულ ქალს, რომელსაც ოჯახი აქვთ, უნდა ჰქონდეს თავისუფალი ცხოვრების უფლება, თავისუფლად იქონიონ ინტიმური ურთიერთობა თავის სასურველ პარტნიორთან, როდესაც ჩვენს ქვეყანაში საოჯახო ურთიერთობა არ ნიშნავს სრულ თავისუფლებას. პარტნიორთა ცვლა და მონოგამიის პრინციპის დარღვევა ფაქტიურად სქესობრივი თავაშვებულობის წახალისებაა, ასეთი გაგება ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი უმრავლესობის ზნეობრივ პრინციპებს.“[115]

ასევე აღსანიშნავია, რომ გათავისუფლების შემთხვევაში, ბრალდებული დაბრუნდებოდა საცხოვრებელ სახლში, სადაც ბრალდებულს და დაზარალებულს ამ სახლში მოუწევდათ ცხოვრება, ვინაიდან არც ერთ მათგანს სხვა საცხოვრებელი არ ჰქონდა. არც ერთი ინსტანციის სასამართლოს პირობითი მსჯავრის გამოყენებისას არ უმსჯელია რა გზით მოხდებოდა ახალი დანაშაულებრივი ქმედების თავიდან აცილება, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებული კვლავ ვერ აკონტროლებდა თავის ემოციებს და კვლავ კიცხავდა დედას მეგობარ კაცთან ურთიერთობის გამო.

აქვე აღსანიშნავია, რომ სოციალურმა მუშაკმა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში ბრაზისა და ემოციების მართვის უნარის გაუმჯობესების, ქალთა მიმართ ძალადობრივი ქცევისა

112 გურჯაანის რაიონული სასამართლოს საქმე #1/47-21
113 გურჯაანის რაიონული სასამართლოს საქმე #1/47-21
114 გურჯაანის რაიონული სასამართლოს საქმე #1/47-21
115 გურჯაანის რაიონული სასამართლოს საქმე #1/47-21

და მისი ნეგატიური შედეგებისა და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის, ასევე ოჯახური ფსიქოთერაპიის რეკომენდაცია გასცა.[116]

სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე მუხლის საფუძველზე, „პირობითი მსჯავრის დროს, თუ არსებობს საამისო საფუძველი, სასამართლოს შეუძლია მსჯავრდებულს დააკისროს განსაზღვრული მოვალეობის შესრულება: თუ მსჯავრდებული ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირია – აგრეთვე ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსი. სასამართლოს შეუძლია მსჯავრდებულს დააკისროს სხვა მოვალეობაც, რომელიც ხელს შეუწყობს მის გამოსწორებას."

სააპელაციო სასამართლომ თავისი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილით პირობითი მსჯავრით გათავისუფლებულ ბრალდებულს დაავალა, არ შეეცვალა საცხოვრებელი სახლი პრობაციის ბიუროს ინფორმირების გარეშე.[117] არც გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ, არც თბილისის სააპელაციო სასამართლომ ბრალდებულს არ დააკისრეს ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსის გავლა, არც ქალთა მიმართ ძალადობის, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების თაობაზე ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული ტრენინგის ან დედასთან ერთად ოჯახური თერაპიის გავლის ვალდებულება.

116 გურჯაანის რაიონული სასამართლოს საქმე #1/47-21

117 გურჯაანის რაიონული სასამართლოს საქმე #1/47-21

6. სისხლისსამართლებრივი ბრალდებების შეწყვეტის შესახებ განჩინებების ანალიზი

სახალხო დამცველმა საანგარიშო პერიოდში განიხილა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ 5 განჩინება. აქედან 4 შემთხვევაში დევნის შეწყვეტის მიზეზი იყო ბრალდებულის შეურაცხადობა, ხოლო ერთ შემთხვევაში - ბრალდებულის გარდაცვალება.

5-დან მხოლოდ ორ განჩინებაშია მითითებული საქმის ფაქტობრივი გარემოებები. მაგალითად, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებულ განჩინებაში აღნიშნულია, რომ ბრალდებულმა სიცოცხლისათვის შეუთავსებელი დაზიანებები მიაყენა ოჯახის წევრს ბებიას თავის, სახის და მარცხენა მხარის მიდამოში, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი გარდაიცვალა.[118] დაკავებულს ბრალი წაუყენეს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1]-109 მუხლის მეორე ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით (ოჯახის წევრის მკვლელობა). ბრალდებულის შეურაცხადობის გამო ამ საქმეზე შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა.[119]

კიდევ უფრო დეტალურია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეზე მიღებული განჩინება, სადაც აღნიშნულია, რომ ბრალდებულმა დაზარალებულს შურისძიების მოტივით სხეულის სხვადასხვა ადგილებში დანის გამოყენებით მიაყენა 7 ჭრილობა, რომელიც ერთობლიობაში საშიშია სიცოცხლისათვის. ბრალდებულის შემდგომი ქმედება აღკვეთა დაზარალებულის ყვირილზე გამოსულმა მეზობელმა. დაზარალებული გადაყვანილი იქნა ქირურგიის ცენტრში, სადაც შესაძლებელი გახდა მისი სიცოცხლის გადარჩენა. ბრალდებულს ბრალი წაუყენეს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით (მკვლელობის მცდელობა), რაც შეწყდა ბრალდებულის შეურაცხადობის გამო.[120]

იგივე დეტალურობით არ ხასიათდება თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული ორი საქმე, რომელთაგან ერთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა ბრალდებულის გარდაცვალების გამო,[121] ხოლო მეორე საქმე ეხებოდა არასრულწლოვანის მიერ ბებიის სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას[122] და თელავის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ სისხლის სამართლის საქმეზე ორი ან მეტი პირის მკვლელობასთან დაკავშირებით (სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი).[123] ეს განჩინებები პრობლემურია იმ თვალსაზრისით, რომ არათუ მართლსაწინააღმდეგო ქმედებები არ არის აღწერილი, არამედ დაზარალებულის ვინაობაც (სახელი და გვარი) კი არ არის მითითებული. აღნიშნული განჩინებები მიუთითებს, რომ კვლავ პრობლემას წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საქმეებში ფაქტობრივი გარემოებების შეძლებისდაგვარად დეტალური აღწერის საკითხი.

118 ზუგდიდის რაიონული სასამართლოს საქმე #1/425-2021
119 ზუგდიდის რაიონული სასამართლოს საქმე #1/425-2021
120 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/2589-21
121 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/4364-21
122 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/2021-21
123 თელავის რაიონული სასამართლოს საქმე #1/283-21

დასკვნა

მისასალმებლია, რომ პროკურატურა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, გენდერის ნიშნით აქტიურად აკვალიფიცირებდა ქალის სიცოცხლის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებებს იმის მიუხედავად, რომ სასამართლოები, სათანადო დასაბუთების გარეშე, ამ საქმეებში კვალიფიკაციას ცვლიდნენ.[124] თუმცა საანგარიშო პერიოდში მაინც გვხვდება საქმეები, სადაც იკვეთებოდა დანაშაულის ჩადენის გენდერული შეუწყნარებლობის მოტივი, თუმცა პროკურატურის მიერ ქმედება ამ ნიშნით არ დაკვალიფიცირებულა.[125]

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემას წარმოადგენს პროკურატურის მიერ მკვლელობის მცდელობისა და სხეულის განზრახ მძიმე დანაშაულის არასწორი გამიჯვნა.[126] ასევე, დანაშაულის თვითმხილველი ბავშვის დაზარალებულად ცნობასა და მის გამოკითხვაზე უარის თქმა.[127] გამოწვევად რჩება ქალის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე საპროცესო შეთანხმების გაფორმება.[128]

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში გაიზარდა გენდერის ნიშნით ჩადენილ დანაშაულზე გამამტყუნებელი განაჩენების რიცხვი. თუმცა, სამწუხაროდ, ყველა სასამართლოს მიერ ეჭვიანობა გენდერის ნიშნით ჩადენილ დანაშაულად კვლავ არ მიიჩნევა.[129] ამის გამო, არსებობს არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში მართალია გვხვდება დასაბუთებული განაჩენები გენდერის ნიშნით ჩადენილ დანაშაულზე, თუმცა კვლავ გვხვდება შემთხვევა, როდესაც განაჩენით სათანადოდ არ იყო დასაბუთებული რაში გამოიხატებოდა ამ ნიშნით დანაშაულის ჩადენა.[130]

კვლავ სამწუხარო პრაქტიკას წარმოადგენს, სასამართლოს მიერ რისკების არასწორი შეფასება და აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეფარდებული მოძალადის მიერ უფრო მძიმე - ფემიციდის მცდელობის დანაშაულის ჩადენა.[131] ასევე, სასამართლოს მიერ მსჯავრდებულის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენება ფემიციდის მცდელობის განმეორების თავიდან აცილების გარანტიების დადგენის გარეშე.[132]

124 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/1251-22 და თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/3595-21

125 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1ბ/რ790-21; თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე N1/4041-21; მცხეთის რაიონული სასამართლოს საქმე N 1/254-21

126 ფოთის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/236-2021 და გურჯაანის რაიონული სასამართლოს საქმე #1/47-21

127 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/1690-21

128 ფოთის საქალაქო სასამართლოს საქმე N1/236-2021; მცხეთის რაიონული სასამართლოს საქმე N1/254-21

129 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/1251-22 და თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე #1/3595-21

130 სამტრედიის რაიონული სასამართლოს საქმე #1/152-21

131 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4189-21

132 გურჯაანის რაიონული სასამართლოს საქმე #1/47-21

რეკომენდაციები

შინაგან საქმეთა სამინისტროს და გენერალურ პროკურატურას:

- მკვლელობის მცდელობის და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების დანაშაულის გამიჯვნისას გამოძიებამ და პროკურატურამ დეტალურად შეისწავლოს საქმის კონკრეტული გარემოებები საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 მაისის №680აპ განაჩენით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.
- თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის საქმეში, როდესაც აშკარად იკვეთება გენდერის ნიშანი, ქმედების კვალიფიკაცია მოახდინოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლის სპეციალური ნაწილით;
- ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით არასრულწლოვანს მიანიჭოს დაზარალებულის სტატუსი, მათ შორის მაშინ, როცა დანაშაული უშუალოდ მიმართული იყო ოჯახის სხვა წევრის წინააღმდეგ და ბავშვი გახდა აღნიშნული დანაშაულის თვითმხილველი.
- საპროცესო წარმომადგენლის, ფსიქოლოგის ჩართვით უზრუნველყოს არასრულწლოვანი მოწმისაგან ხელსაყრელი ფორმით ინფორმაციის მიღება, განსაკუთრებით მაშინ, როცა არასრულწლოვანი არის ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის ერთადერთი პირდაპირი მოწმე.
- დაზარალებულის ავადმყოფობის ისტორია სამკურნალო დაწესებულებიდან ამოიღოს დაზარალებულის აშკარა და ინფორმირებული თანხმობით ან სასამართლოს განჩინებით;
- მოახდინოს ქმედების კვალიფიკაცია სისხლის სამართლის კოდექსის გენდერის ნიშნით, როცა ბრალდებული დანაშაულის ჩადენას ხსნის დაზარალებულის მიერ სექსუალური კავშირის დამყარებაზე უარით;
- გაიწეროს და ერთმანეთისგან გაიმიჯნოს საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებული მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების სისხლის სამართლის პროცესში ჩართვისა და მათი უფლება-მოვალეობების საკითხი;
- საჭიროების შემთხვევაში, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართვა მოხდეს გამოძიების დაწყებისთანავე.

საერთო სასამართლოებს:

- საერთო სასამართლოებმა სამოტივაციო ნაწილში ჯეროვნად დაასაბუთონ, რაში გამოიხატება კონკრეტულ შემთხვევაში გენდერის ნიშნით დანაშაულის ჩადენა, როდესაც აღნიშნული დამამძიმებელი გარემოებით ჩადენილი დანაშაულისათვის ბრალდებულს დამნაშავედ ცნობენ;
- სასამართლოებმა ქალის მიმართ ეჭვიანობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების განხილვისას იმსჯელონ ეჭვიანობაზე, როგორც გენდერულ მოტივზე;
- ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დასამკვიდრებლად უზენაესმა სასამართლომ შეიმუშაოს გენდერის ნიშნის ყოვლისმომცველი განმარტება;

- აქტიურად გამოიყენონ სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლით გათვალისწინებული გენდერის ნიშანი სასჯელის ერთი წლით გასამკაცრებლად, როდესაც პროკურორის მიერ წარდგენილ ბრალდებაში გენდერის ნიშანი არ არის დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი მაკვალიფიცირებელი გარემოება;
- ოჯახური ძალადობის ან ქალის მიმართ ძალადობის, შემაკავებელი ორდერის პირობებისა და ვალდებულებების დარღვევის საქმეებზე აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას, სასამართლომ ინდივიდუალური გარემოების გათვალისწინებით, დაადგინოს რამდენად არსებობს დანაშაულებრივი ქმედების გაგრძელების და უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენის საფრთხე. ნაკლებად მძიმე დანაშაულში პირის ბრალდების ფაქტი, საქმის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინების გარეშე, არ უნდა გახდეს გირაოს და პატიმრობაზე უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი;
- სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ განჩინებებში, რამდენადაც ეს შესაძლებელია, დეტალურად აღწერონ საქმის ფაქტობრივი გარემოებები და დაზარალებულის ვინაობა.

დანართი: საქართველოს გენერალური პროკურატურის სტატისტიკა

საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით,[133] 2021 წელს **ოჯახური დანაშაულის ნიშნით** ჩადენილია 9 ქალის **მკვლელობა**, საიდანაც სისხლისსამართლებრივი დაიწყო 6 შემთხვევაზე 5 პირის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1]-109-ე მუხლით,[134] 1 შემთხვევაში დანაშაულის ჩამდენმა პირმა თავი მოიკლა, ხოლო 2 შემთხვევაში დანაშაულის ჩამდენი პირი იმ ეტაპზე დაუდგენელი იყო. ამათგან, გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი გამოიკვეთა 1 შემთხვევაში. ხოლო ყველა ფაქტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო იძიებდა.

დაზარალებულთა ასაკი შემდეგია: 18-დან 30 წლამდე - 3 ქალი; 30-დან 40 წლამდე - 1 ქალი; 40-დან 50 წლამდე - 1 ქალი; 50-დან 60 წლამდე - 2 ქალი; 60-დან 70 წლამდე - 1 ქალი; 70 წელს ზემოთ - 1 ქალი.

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა ასეთია: თბილისი - 2; კახეთი - 2 (1 საქმეში - 2 ქალი); ქვემო ქართლი - 3 (2 საქმეში - 3 ქალი); სამეგრელო-ზემო სვანეთი - 1; აჭარა - 1;

რაც შეეხება ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირს, 3 შემთხვევაში მკვლელობა ჩადენილია ქმრის მიერ ცოლის მიმართ, 1 შემთხვევაში მკვლელობა ჩადენილია ყოფილი ქმრის მიერ ყოფილი ცოლის მიმართ, 1 შემთხვევაში შვილის მიერ დედის მიმართ, 2 შემთხვევაში შვილიშვილის მიერ ბებიის მიმართ, 2 შემთხვევაში სოციალური კავშირი ამ ეტაპზე დაუდგენელია.

2021 წელს **სხვა მოტივით** ჩადენილია 8 ქალისა და 1 ტრანსგენდერი ქალის **მკვლელობა**. ყველა ფაქტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო იძიებდა. აღნიშნული 9 შემთხვევიდან სისხლისსამართლებრივი დაიწყო 7 შემთხვევაზე 7 პირის მიმართ, 1 შემთხვევაში დანაშაულის ჩამდენი პირი იმ ეტაპზე დაუდგენელი იყო, ხოლო 1 შემთხვევაში დანაშაულის ჩამდენმა პირმა თავი მოიკლა. აღნიშნული პირებიდან სისხლისსამართლებრივი დევნა 6 პირის მიმართ დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით, ხოლო 1 პირის მიმართ - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით. ამათგან, 1 შემთხვევაში გამოიკვეთა გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი.

დაზარალებულთა ასაკი შემდეგია: 18-დან 30 წლამდე - 2 ქალი; 30-დან 40 წლამდე - 3 ქალი; 50-დან 60 წლამდე - 1 ქალი; 60-დან 70 წლამდე - 2 ქალი, 70 წელს ზევით - 1 ქალი.

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა ასეთია: თბილისი - 5; კახეთი - 2; აჭარა - 1; სამცხე-ჯავახეთი - 1 ქალი.

რაც შეეხება ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირს, 4 შემთხვევაში მკვლელობა ჩადენილია ნაცნობის მიერ, 3 შემთხვევაში უცნობის მიერ, 1 შემთხვევაში ინტიმური პარტნიორის მიერ, 1 შემთხვევაში სოციალური კავშირი იმ ეტაპზე დაუდგენელი იყო.

რაც შეეხება ქალის მკვლელობის მცდელობის შემთხვევებს. 2021 წელს **ოჯახური დანაშაულის ნიშნით** 6 პირის მიერ ჩადენილია 6 ქალის **მკვლელობის მცდელობა**. აღნიშნული 6 პირიდან სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო ყველა პირის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1]-19-109-ე მუხლით.[135] ამათგან, გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის

133 საქართველოს გენერალური პროკურატურის N 13/4275 წერილი; 28.01.2022

134 აღნიშნული პირებიდან 1 პირის მიერ ჩადენილია 1 ქალის მკვლელობა და 1 ქალის მკვლელობის მცდელობა

135 ამასთან, აღნიშნული პირებიდან 1 პირის მიერ ჩადენილია 1 ქალის მკვლელობა და 1 ქალის მკვლელობის მცდელობა

მოტივი გამოიკვეთა 3 შემთხვევაში. ყველა ფაქტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო იძიებდა.

დაზარალებულთა ასაკი შემდეგია: 30-დან 40 წლამდე - 1 ქალი; 40-დან 50 წლამდე - 1 ქალი; 50-დან 60 წლამდე - 2 ქალი, 60-დან 70 წლამდე - 1 ქალი, 70 წელს ზემოთ - 1 ქალი;

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა ასეთია: თბილისი - 1; შიდა ქართლი - 1; ქვემო ქართლი - 1; სამეგრელო-ზემო სვანეთი - 1; სამცხე-ჯავახეთი - 2.

რაც შეეხება ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირს, მკვლელობის მცდელობა ჩადენილია 1 შემთხვევაში ქმრის მიერ ცოლის მიმართ, 1 შემთხვევაში შვილის მიერ დედის მიმართ, 1 შემთხვევაში მამამთილის მიერ რძლის მიმართ, 1 შემთხვევაში სიძის მიერ სიდედრის მიმართ, 1 შემთხვევაში ყოფილი სიძის მიერ ყოფილი სიდედრის მიმართ, 1 შემთხვევაში ერთიან საოჯახო მეურნეობაში მყოფი პირის მიმართ.

2021 წელს **სხვა მოტივით** 9 პირის მიერ ჩადენილია 11 ქალისა და 1 ტრანსგენდერი ქალის მკვლელობის მცდელობა. სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო ცხრავე პირის მიმართ. ამათგან, 6 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით, ხოლო 3 პირის მიმართ - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლით. მათ შორის, 1 შემთხვევაში გამოიკვეთა გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი, ხოლო 2 შემთხვევაში - ასოციაციით გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი.

დაზარალებულთა ასაკი შემდეგია: 18-დან 30 წლამდე - 3 ქალი; 30-დან 40 წლამდე - 2 ქალი; 40-დან 50 წლამდე - 4 ქალი; 50-დან 60 წლამდე - 2 ქალი; 60-დან 70 წლამდე - 1 ქალი;

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა ასეთია: თბილისი - 6; აჭარა - 1; შიდა ქართლი - 2; კახეთი - 1; სამცხე-ჯავახეთი - 2.

რაც შეეხება ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირს, 7 შემთხვევაში მკვლელობის მცდელობა ჩადენილია ნაცნობის მიერ, 1 შემთხვევაში ინტიმური პარტნიორის მიერ, 4 შემთხვევაში უცნობის მიერ.

2021 წელს **ოჯახური დანაშაულის ნიშნით** 10 ქალის **თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის** ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 10 პირის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1]-115-ე მუხლით. ამათგან, 5 შემთხვევაში გამოიკვეთა გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი, ხოლო 1 შემთხვევაში - გენდერისა და რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივები. ყველა ფაქტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფები იძიებდა.

დაზარალებულთა ასაკი შემდეგია: 18 წლამდე - 1 ქალი; 18-დან 30 წლამდე - 5 ქალი; 30-დან 40 წლამდე - 3 ქალი; 70 წელს ზევით - 1 ქალი.

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა ასეთია: თბილისი - 3; სამეგრელო-ზემო სვანეთი - 2; ქვემო ქართლი - 1; დასავლეთ საქართველო - 1; სამცხე-ჯავახეთი - 3.

რაც შეეხება ბრალდებულის კავშირს დაზარალებულთან, 5 შემთხვევაში თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა ჩადენილია ქმრის მიერ, 3 შემთხვევაში - მამის მიერ, 2 შემთხვევაში ერთიან საოჯახო მეურნეობაში მყოფი პირის მიერ.

2021 წელს **სხვა მოტივით** 3 ქალის **თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანისა** და **2 ქალის თვითმკვლელობამდე** მიყვანის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 5 პირის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით. ამათგან, 1 პირის მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა ბრალდებულის გარდაცვალების გამო. ხოლო, 2 შემთხვევაში გამოიკვეთა გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი. ყველა ფაქტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო იძიებდა.

დაზარალებულთა ასაკი შემდეგია: 18 წლამდე - 3 ქალი; 18-დან 30 წლამდე - 2 ქალი.

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა ასეთია: თბილისი - 1; აჭარა - 3; დასავლეთ საქართველო - 1;

რაც შეეხება ბრალდებულის კავშირს დაზარალებულთან, 4 შემთხვევაში თვითმკვლელობამდე/ თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა ჩადენილია ინტიმური პარტნიორის მიერ, 1 შემთხვევაში ნაცნობის მიერ.

2021 წელს **ოჯახური დანაშაულის ნიშნით** ჩადენილია 2 ქალის **ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.** აღნიშნული შემთხვევებიდან სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1 შემთხვევაზე 1 პირის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-117-ე მუხლის მე-4 ნაწილით, ხოლო 1 შემთხვევაში დანაშაულის სავარაუდო ჩამდენ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკისთვის არ მიუღწევია.

დაზარალებულის ასაკი შემდეგია: 18 წლამდე - 1 ქალი; 30-დან 40 წლამდე - 1 ქალი. დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა ასეთია: ქვემო ქართლი - 1; კახეთი - 1.

რაც შეეხება ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირს, 1 შემთხვევაში ჩადენილია ქმრის მიერ ცოლის მიმართ, ხოლო 1 შემთხვევაში - ძმის მიერ დის მიმართ.